სპორტი

სპორტული გაზეთი | შაბათი 30 იანვარი 1999 №15 (788) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს ფეხბურთში გაზაფხულდება

პირველჯგუფელები მიხეილ მესხს და მინი-ფეხბურთს გაიხსენებენ

სლოვენია ეცდება თბილისში გვიპასუხოს

ქართველთა უახლოესი მეტოქის, სლოვენიის ნაკრების თავკაცი სრეჩკო კატანეცი თბილისს თბილად იხსენებს

სუპერმარიოს პრობლემა

ბუნდესნაკრებიდან დათხოვილი მარიო ბასლერი შესაძლოა „ბაიერნიდანაც“ გაუშვან



ბიჭები ვეზერის ნაპირებიდან

ჰანს დიტერ ჰიოტგესი, ოტო რეჰაგელი და სხვები



REUTERS მელბურნიდან

მარტინა ჰინგისმა და ანა კურნიკოვამ შეწყვილება ტიტულით დააგვირგვინეს

სფაის დუეტის ტრიუმფი

გუშინ გამართულმა ქალთა წყვილების ფინალმა მელბურნში შეხმატკბილებულ ჩოგბურთის ვარსკვლავებს — მარტინა ჰინგისსა და ანა კურნიკოვას პირველი ერთობლივი ტიტული, ავსტრალიელ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს კი დიდი კმაყოფილება მოუტანა

იხილეთ მეათე გვერდი

გიორგი ნემსაძე ქართული ფეხბურთის ელჩი იტალიაში

ჩვენი ნაკრების კაპიტანი „რეჯანაში“ ჩაირიცხა

ესეც ასე — ეროვნული ნაკრების კაპიტანმა, შვეიცარიული „გრასჰოპერის“ მცველმა გიორგი ნემსაძემ ბოლოს და ბოლოს თავი დააღწია ციურიხულ კლუბს და სერია **B**-ს „რეჯანასთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს ამბავი 28 იანვარს გვიან ღამით მოხდა.

გიორგი უკვე იტალიური რეჯო ემილიას ერთ-ერთ სასტუმროში ოჯახთან ერთად ცხოვრობს და თავის ახალ გუნდში სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ვერაფერს იტყვი, სასიხარულო ფაქტია — ნემსაძე დიახაც რომ ღირსია, ფეხბურთი ითამაშოს. არადა, ამ ბოლო დროს ყველაფერი იქეთ მიდიოდა გიორგის ფეხბურთის თამაში მოანატრეს. ასეა თუ ისე, „გრასჰოპერი“ და მასთან დაკავშირებული პრობლემები უკან დარჩა და ნემსაძე ამიერიდან იტალიურ კლუბში გაირჯება.

კონტრაქტი სამწელიწადნახევრიანია. დღემდე ისე მოხდა, ნემსაძის საფეხბურთო კარიერას ვერაფრით უწოდებს კაცი — ია ვარდით მოფენილს — მას არც ტრავმები დაკლებია და არც უთანხმოება-გაუგებრობები. ვინძლო, იტალიურ კლუბში კარგად აეწყოს კაპიტანს საქმეები.

და ერთიცაა, ნემსაძე ხომ პირველი ქართველია, ვისაც იტალიურ კლუბში მოუწევს თამაში. ეს ერთი და სხვა მრავალი!



ალეკო ციცოიანი ირაკლი

ორშაბათს მიხეილ მესხს და მინი-ფეხბურთს გაიხსენებენ

მომავალ კვირაში 12 ქართული კლუბი პირველ ოფიციალურ ტურნირში გამოცდის სეზონთშორისში მომზადების დონეს. ყველა გუნდი პირველი ჯგუფისაა, გარდა „დინამოსი“, რომელიც საამდროოდ ბელგიას მიემგზავრება შეკრებაზე და თბილისის ტურნირს ალბათ ახლახან მოსკოვმოვლილ ახალგაზრდული „დინამო 2“-ის შემადგენლობას დატოვებს. ტურნირი კიდევ ოთხ პირველჯგუფელს თურქულ შეკრებაზე მყოფ „ტორპედოს“ იალტაში მიმავალ „იბერიას“, ბულგარულ ჩემოდნებზე მჯდომ „კოლხეთს“ და „ბათუმს“ მოისაკლისებს.

მონაწილეები

I ჯგუფი	II ჯგუფი
თბილისის „დინამო“	თბილისის „ლოკომოტივი“
თბილისის „მერანი“	ზუგდიდის „ოდიში“
თბილისის „ვიტ ჯორჯია“	წყალტუბოს „სამგურალი“

III ჯგუფი	IV ჯგუფი
გორის „დილა“	თბილისის „არსენალი“
რუსთავის „გორდა“	ბოლნისის „სიონი“
თბილისის თსუ	ლანჩხუთის „გურია“

ტურნირის კალენდარი

I თებერვალი	2 თებერვალი
12-00 სიონი — გურია	12-00 არსენალი — სიონი
13-30 გორდა — თსუ	13-30 დილა — გორდა
15-00 ოდიში — სამგურალი	15-00 ლოკომოტივი — ოდიში
16-30 მერანი — ვიტ ჯორჯია	16-30 დინამო — მერანი

3 თებერვალი	4 თებერვალი
12-00 გურია — არსენალი	16-00-იდან ნახევარფინალები I-IV, II-III
13-30 თსუ — დილა	**5 თებერვალი**
15-00 სამგურალი — ლოკომოტივი	16-00-იდან მცირე და დიდი ფინალი
16-30 ვიტ ჯორჯია — დინამო	

პატარა უვაკვეს ფიქრები, ბათუმელი ვიქნები

ნიგერიელი შავი დღეს საღამოს ჩამოდის

ზამთრის ერთ ჩვეულებრივ დილას ვინმე 18 წლის ნიგერიელ უც უვაკვეს ჩვეულებრივად გამოელვიძა. ეგაა ოღონდ, ძილში მეტად უჩვეულო სიზმარი უნახავს. აფრიკულ უდაბნოში გაზრდილ ყმაწვილს საქართველო დასიზმრებია თავისი წალკოტით. ჰოდა, იმ დღიდან მოსვენება დაუკარგავს პატარა არწივს. კავკასიაში ჩაფრენის ფიქრებს შეუპყრია.

გაუკითხ-გამოუკითხავს, უეფასთვის მიუმრთავს — ნიგერიელი პერსპექტიული ფეხბურთელი ვარ, საქართველოში მსურს თამაში და რაიმეთი დამეხმარეთ, თორემ ჩემი ცოდვით ვერ გაიხარებთო. შეწუხებულან ევროპული ფეხბურთის მამები, ემანდ ბიჭმა თავს არაფერი ავნოსო და ჩვენებური „ბათუმის“ კოორდინატები გადაუციათ.

„ბათუმის“ კლუბის დირექტორატის ოფისში ფაქსი მიიღეს. უც უვაკვე თავის მონაცემებსა და სურვილს იტყობინებოდა, თანაც წერდა, იანვრის ბოლოს ჩამოვალ და თუ მოგეწონებით, თქვენს რაზმში მიმიღეთო.

იანვრის ბოლოც დადგა. გუშინ კვლავ შეეხმიანეთ აჭარელთა გუნდის პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს. მან გვითხრა:

— ოცდაათში საღამოს ველოდებით. ჩვენც ძალიან გვაინტერესებს იმ ნიგერიელის ნახვა და მოედანზე გასინჯვა. რაც ამასწინანდელ ინტერვიუში გიამბეთ, იმაზე მეტს ვერას გეტყვით. რაც შეეხება სახელსა და გვარს...

აი, აქ კი გავწვალდით რესპონდენტთან ერთად. თუმცა ეს წვალება მონაგონი იქნება იმასთან, რისი გადატანაც „ბათუმის“ მწვრთნელ-ფეხბურთელობას მოუწევს მომავალში, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ აფრიკელი მათ გუნდში ჩაირიცხება.

ასეა. ეს ამბავი მართლაც სიზმარივითაა. ცხადად კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ნიგერიელი თავდამსხმელი უც უვაკვე შავია...

ხვიჩა სანიკიძე

გახსოვდეთ აფხაზეთი!

გუშინ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის შეიკრიბა, რომელსაც ამავე ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარე მურად ანჯაფარიძე თავკაცობდა.

სხდომის მიმდინარეობაში მონაწილებდნენ სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, სფფ-ს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტიურობდა თურმე).

სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ 17 ან 18 თებერვალს გაიმართეოს პირველი და მეორე ნაკრებების შეხვედრა და ამ მატჩის შემოსავალი მთლიანად გადაეცეს აფხაზურ გუნდებს — სოხუმის „ცხუმს“ და გაგრის გუნდს.

თავის მხრივ, სფფ-ს პრეზიდენტმაც შეაწია სხდომას ორიოდ სიტყვა და აღნიშნა, რომ მიესალმება მსგავს საქველმოქმედო აქციებს:

— ქართული ფეხბურთის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ აფხაზეთში იურისდიქცია გვაქვს დაკარგული და იქიდან შევსებას ველარ ვიღებთ. მსგავსი ქველმოქმედებანი იმადაც არის ღირსშესანიშნავი, რომ როდესაც პოლიტიკურად ადვიბრუნებთ აფხაზეთს, მისი გუნდების ხელახლა შექმნა არ დაგვჭირდება — ისინი ხომ უკვე არსებობენ.

ერთი სიტყვით, სფფ-ს ახსოვს აფხაზეთი.

...ჯერ იყო რევაზ ძოძუაშვილი, ლატვიის ნაკრების მწვრთნელი, მერე ნილს სემბა — ნორვეგიელთა ახლანდელი მოძღვარი, მაშინ კი მხოლოდ იურიდიულად დამტკიცებული. შემოდგომის პირს ალბანელთა ნაკრების თავკაცის — ასტრიდ ჰაფიზის აზრიც გაგაცანით. დაგვრჩენოდა მხოლოდ ორი — ანგელ იორდანესკუ, ბერძენთა ახალი დამრიგებელი და...

ის ეპოქა წარსულს ჩაბარდა: საარბრუკენი, ნანტი, ატლანტა, პალერმო... თბილისის დაძმობილებული ქალაქები ახლა უკვე ჩვეულებრივ ხვდება ყურს. ბევრს აღარც კი ემახსოვრება ისინი. მაშინ კომუნისტური დროება იყო და ქვეყანაც სხვაგვარად გვეჩვენებოდა.

გაუთავებელი ვიზიტები, ბანკეტები... აბა, თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ჭირიმეო — მართლაც ძმური ურთიერთობა სუფევდა.

პირადად მე კი ერთი ქალაქი ჩამრჩა მეხსიერებაში — ლუბლიანა. „დინამომ“ ამ ქალაქის „ოლიმპიას“ ხშირად ეთამაშებოდა და, როგორც წესი, კუდით ქვას ასროლინებდა. ჩემთვის სულ ერთი გახლდათ, მატჩი ოფიციალური იყო თუ მეგობრული. „დინამოს“ მოეგო და... ჰოდა, ამარცხებდა ჩვენი გუნდი მათსას მერე? ლამის იყო, ხალხს სტადიონზე წასვლის ხალისიც დაჰკარგვოდა, მეტოქე უსუსური ჩანდა. ნაირ-ნაირი ანგარიშები, ნაირ-ნაირი შემადგენლობები...

თუმცა ყოველივე ადრე იყო. ახლა სხვა დროა. დრო, როცა სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი, ერთ დროს თბილისში ნათამაშევი სრეჩკო კატანეცი, „სარბიელს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს.

27 მარტს სლოვენიის ნაკრები საქართველოსას დაუპირისპირდება. სტუმართა მწვრთნელი კი, ალბათ, იქამდე არ შეიცვლება.



სრეჩკო კატანეცი

დაიბადა: 17.07.1963
თამაშობდა: 80-85 „ოლიმპია“, ლიუბლიანა; 85-87 „დინამო“ ზაგრები; 87-98 „პარტიზანი“ (ყველა იუგოსლავია); 88-89 „შტუტგარტი“, გერმანია; 89-93 „სამპდორია“, იტალია
მწვრთნელობდა: 96-98 სლოვენიის ახალგაზრდულ ნაკრებს და „ჰიტ გორიცას“ ნვრთნიდა. 1998 წლის 19 აგვისტოდან სლოვენიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია

სრეჩკო კატანეცი: თბილისში გიპასუხებთ!

— ბატონო სრეჩკო, თბილისში ჩამოსვლამდე რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხეთ.

— გისმენთ. რა გაინტერესებთ?

— ჯერ ის გვითხარით, ჩვენს ჯგუფში ნათამაშევი მატჩებიდან თქვენთვის ყველაზე მოულოდნელი რომლის შედეგი იყო?

— რა თქმა უნდა, ნორვეგიაში ლატვიელთა გამარჯვება და საბერძნეთში თქვენი დიდი ანგარიშით წაგება. სხვანაირად ნუ გამიგებთ, მაგრამ ასე უსუსურად თუ ითამაშებდით და სამბურთიანი სხვაობით დამარცხდებოდით, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

— აბა, რას ელოდით?

— არა, შეიძლებოდა წაგეგოთ, მაგრამ ასე? სიმართლე გითხრათ, მეგონა, ის მატჩი ფრედ დამთავრდებოდა.

— საბერძნეთ — სლოვენიის ანგარიში რამდენად ლოგიკური იყო?

— რასაც ვიმსახურებდით, ის მივიღეთ. ცოტა ჭკუით რომ გვეთამაშა, ეგებ მოგვეგო კიდეც.

— გსურთ თქვათ, რომ სლოვენია საქართველოზე ძლიერია?

— არა, სწორად ვერ გამიგეთ. ქართველებს არანაკლებ კარგი გუნდი გყავთ. გააჩნია, მატჩი როგორ წარიმართება. აი, თქვენ რომ პირველივე წუთებზე გოლი არ გაგეშვათ, ხომ შეიძლებოდა, თამაში სხვა ანგარიშით დამთავრებულიყო.

— ლატვიელთა მწვრთნელმა გვითხრა, სლოვენია მეტად უხეში გუნდიაო.

— გჯერათ? რომ მოვუგეთ, იმიტომაც ამბობენ. ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით. რა ვიცი, როგორც გენებოთ — თუ ხისტი თამაში უხეშობაა, ჩათვალეთ, რომ უხეშები ვყოფილვართ. სხვათა შორის, იმ მატჩში მსაჯმა ორი ლატვიელი დაინდო, ისინი მინდვრიდან უნდა გაეძევებინა.

— ჯგუფის ფავორიტებად ვის მიიჩნევთ?

— ვგონებ, ყველას აქვს პირველობის შანსი. უძნელესი ჯგუფია, რა მოხდება, კაცმა არ იცის. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმცა ის კი მეგონა, რომ ნორვეგია და საბერძნეთი თავიდანვე დაწინაურდებოდნენ. შეიძლება ახლა მოიკრიბონ ძალა და დანარჩენები უკან ჩამოგვიტოვონ.

— მათ შორის თქვენც?

— შეიძლება, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. ხელწამოსაკრავები ნამდვილად არა ვართ. ნაკრებში დღეისათვის 14-16 ლეგიონერია, თავიანთ კლუბებში ყველა თავგამოჩენილი. კარგად თამაშობენ და მათი იმედი მაქვს. გარწმუნებთ, შემადგენლობის შერჩევის მხრივ თბილისამდე ცვლილება არ იქნება. საქართველოშიც იმათ წამოვიყვან, ვისაც აქამდე ვიწვევდი.

— ჩვენს გუნდზე რა იცით?

— საკმაოდ ბევრი. ყოველ შემთხვევაში, ცნობათა ნაკლებობას არ ვუჩივი. ვიცი თქვენი ტექნიკის ამბავი, ვიცი, როგორი ტაქტიკით თამაშობთ, ვიცი, ვის მივუჩინო პერსონალური მეურვე.

სამპდორიელი სრეჩკო კატანეცი (მარჯვნივ) ამერიკის ნაკრებთან მატჩისას

ბევრჯერ დავატრიალე ლატვია — საქართველოს მატჩის ფირი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თბილისში ძალიან ძნელი თამაში გველის.

— სიტყვამ მოიტანა და რიგაში ჩვენების თამაშზე რას იტყვით?

— დამიჯერეთ, გულწრფელად გეუბნებით — მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები ვართ, საცოდაობა იყო ქართველების ლატვიასთან მარცხი. შეიძლება ტელევიზორში სხვანაირად ჩანს, მაგრამ ისეთი უპირატესობა, როგორიც ლატვიელებთან გქონდათ, ძნელად წარმოსადგენია. ისე, ამ ფირმა ერთი სამსახური უკვე გამიწია — სლოვენია — ლატვიის თამაშამდე თქვენებურთა მაგალითზე ბიჭებს ავუხსენი, რა როგორ გაეკეთებინათ. შედეგიც სახეზეა.

— თბილისური მატჩის პროგნოზს თუ გააკეთებთ?

— ხომ გითხარით, ყველას ყველასთან შეუძლია მოგება. თბილისში საუკეთესო ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვალთ და ძალიან გამიხარდება, თუ გავიმარჯვებთ. თავს არ დავზოგავთ, თქვენთან მოგება ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. თბილისიდან რომ სამი ქულა წამოვიღოთ, დარწმუნებული ვარ, შინაც მოვიგებთ.

— რომ წააგოთ?

— ტრაგედია არ იქნება. თუმცა იცოდეთ, ერთხელ თბილისში ნამყოფი ვარ, 1981 წელს „ოლიმპიაში“ ვთამაშობდი და მაშინაც მოგება გვსურდა.

— აბა, გუცაევი გემახსოვრებათ.

— სამწუხაროდ, ვერავის ვიხსენებ. უცნაური გვარები გაქვთ და ვერ დავიმახსოვრე. სამაგიეროდ, ის კი ჩამრჩა გონებაში, რომ საქართველოში კარგი დრო გავატარეთ. ერთხელ მთელი გუნდით რესტორანში დაგვპატიჟეს, თან გადაყვნენ. გულშემატკივრებიც მახსოვს, სტადიონზე ისეთი ღრიალ-გრიალი იყო, რომ ახალგაზრდას მუხლები მიკანკალებდა.

— თქვენს ნაკრებს რა ნაკლი აქვს?

— კადნიერებაში ნუ ჩამივთვლით, მაგრამ ჩვენ ნაკლი არ გვაქვს. ბევრი ლეგიონერი გვყავს, ძალიან ძლიერი ფეხბურთელები, მათ იციან თავიანთი საქმე.

— საქართველოს გუნდის ნაკლი რა არის?

— მაპატიეთ, მაგრამ ახლა პასუხს არ გაგცემთ. რაც შევამჩნიე ჩანიშნული მაქვს და ვეცდები, თბილისში თამაშისას გიპასუხოთ.

კობა ინასარიძე

ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული
კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

ფრანგული ფეხბურთის საიდუმლო ქართული ფეხბურთის საშველი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ასე სწავლობენ ბურთის გორებას ქართველი ბავშვები...

ქართული ფეხბურთის შავ დღეზე არაერთხელ დაგვიწერია. ისიც გვითქვამს, ამჟამინდელზე უარესი საერთოდ უფეხბურთობა თუ იქნება, თორემ ჩვენში ფეხბურთი უფრო დაბლა ვერაფრით დაეშვებაო. ახლანდელ დონეს ქართული ფეხბურთი, სულ უპატრონოდ და უთავოდაც რომ დარჩეს, მაინც შეინარჩუნებს.

რატომ მოხდა ასე, რატომ მოიშალა საფეხბურთო მეურნეობა?! ყველაფერი წლების მანძილზე გატარებული არასწორი საფეხბურთო პოლიტიკის ბრალია. უკუსვლის მთავარი მიზეზი კი ბავშვთა ფეხბურთის უპატრონოდ მიგდება იყო.

საქმე მაშინ წახდა, როცა საფეხბურთო მინდვრებზე საცხოვრებელი კორპუსების ჩადგმა დაიწყეს. თბილისში არაერთი მსგავსი მაგალითი გვახსოვს, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, ისინი, ვისაც ხმის ამოღება ევალებოდათ, დუმდნენ.

გაჩანაგდა ბაზები, გადაიხნა და გავერანდა საფეხბურთო მინდვრები. ის კი არა, ერთ-ერთ პატივსაცემ პიროვნებას, ჩვენში და არა მარტო აქ, ყველასგან დაფასებულ ადამიანს, ყოფილ ფეხბურთელს, რომელმაც საფეხბურთო სკოლის გასამართად ორიოდ გადაბერებული ხე წამოაქცია, ლამის საცხოდ გაუხადეს საქმე. საქართველოდან ლამისაა მთელი ხე-ტყე გაზიდონ და სიტყვის დამძრავი ძვირად თუ ვინმე გამოჩნდება, ორი ხე კი გამოიტირეს.

ასეა ყველგან, სადაც გამკითხავი არავინაა.

არადა, ისეთ პირობებში, სადაც ჩვენი ბავშვები ვარჯიშობენ, ყოველივე სიკეთე წარმოუდგენელია. სპორტული ინვენტარი მოძველებული და გაცვეთილია, საფეხბურთო მოედნები მოუწესრიგებელი, წიდისსაფარიანი მოედნები, რომლებიც, ფაქტობრივად, არ ირწყვება. პატარებიც მტვერში ეუფლებიან საფეხბურთო ანბანს. გასახდელები, ჩათვალეთ, არ არსებობს, ზაფხულში კიდევ არა უშავთ, მაგრამ ზამთარში ლამის გალურჯდნენ მოზარდები. ვარჯიშის შემდეგ ცხელ წყალზე და დაბანაზე უკვე კარგა ხანია, არც ოცნებობენ პატარა ფეხბურთელები.

განა მწვრთნელები უკეთეს დღეში არიან?!

არანორმალურ პირობებში უწევთ მუშაობა და როცა ყველა იმედი გადაეწურათ, თავიანთი ხარჯებით დაიწყეს საფეხბურთო სკოლების კეთილმოწყობა. კიდევ კარგი, კეთილი ადამიანები კვლავ არსებობენ და ენთუზიასტებს მცირედი ხელშეწყობით, მაგრამ მაინც ეხმარებიან. საქმეც ჯერ კუს ნაბიჯებზე ნელა მიიწევს წინ.

უმძიმესი სურათი დაიხატა. რეალობა უფრო კატასტროფულია. მიუხედავად ამისა, უკვე რამდენიმე წელია, სიდუხჭირეს უძლებენ თენგიზ სულაქველიძე, თამაზ კოსტავა, ვახტანგ კოპალეიშვილი, თენგიზ კაცია, კარლო მჭედლიძე და სხვებიც. ყველა თავგანწირულს ვერც ჩამოვთვლით.

თითეულ მათგანს შეუძლია თავისი საქმის ჩინებულად კეთება და მაქსიმუმსაც ახერხებენ.

სიდუხჭირეს ბევრი მშობელიც ვერ გაუძლებდა. წესითა და რიგით, საგრძნობლად უნდა ეკლო პატარა ფეხბურთელთა რიცხვს, მაგრამ რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, კლება კი არა, საგრძნობი მატება შეინიშნება.

დღეს საქართველოში 25 ბავშვთა საფეხბურთო კლუბია, ხოლო კომპლექსური სკოლის საფეხბურთო ჯგუფების რაოდენობა 51-ს აღწევს. სულ საქართველოში, ქალაქებსა თუ სოფლებში, 21 ათასი ბავშვი და მოზარდი ეუფლება ფეხბურთის საიდუმლოს, მათ აღზრდას 530 მწვრთნელი ემსახურება.

შეიძლება ითქვას, დღესდღეობით საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის ბუმია. როგორც ფედერაციის ბავშვთა და რეზერვების კომიტეტის წარმომადგენელმა ჯუმბერ თანანაშვილმა გვითხრა, ზემოთ დასახელებული ციფრი მაინც მიახლოებითია, რადგან რაიონებში ბევრია ისეთი ენთუზიასტი, რომლებიც ბავშვებს ავარჯიშებენ და ჩვენთან რეგისტრირებულნი არ არიან.

დიდებულია, ჩინებულია, მაგრამ თუ ყველაფერი მსგავს პირობებში გაგრძელდა, რაოდენობა ხარისხს ვერ მოგვცემს. პატარები იბურთავებენ, მაგრამ საფეხბურთო თვალსაზრისით ვერ გაიზრდებიან.

იმიტომ, რომ მწვრთნელად ყველა ვერ გამოდგება. პატარა ბიჭის ფეხბურთელად ჩამოყალიბებას დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, რითაც ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებული ბევრი მწვრთნელი ვერ დაიკვეხნის.

იმიტომ, რომ ბავშვს ბურთი უნდა, ფორმა და ხარისხიანი გაზონიც. მშობელს სკოლაში სავალდებულო გადასახადის გარდა სხვაზეც „თავის მტვრევა“ არ უნდა უწევდეს.

საქართველო კიდევ კარგა ხანს იქნება გაჭირვებულ ყოფაში. ეროვნულ ჩემპიონატში ვერაფრით მოვიმრავლებთ უცხოელ ლეგიონერებს. ჩვენი გუნდების დაცარიელებული ხაზინა ამას სულ მცირე ათ წელიწადს ვერ მოახერხებს. ისევ ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებულ ბავშვებს მივხედოთ, შევუქმნათ მათ ელემენტარული პირობები. რა ბევრი თუ აუწონავი ფული ორი გასახდელის მოწყობას უნდა, ანაც რა მოუგვარებელი პრობლემა ცხელი წყალი გახდა. მონდომება თქვი კაცმა, თორემ გადაუჭრელი და მოუწესრიგებელი არაფერია, ისეთ გაჭირვებულ ყოფაშიც კი, ქართველები რომ ვიმყოფებით.

თამაშობენ ჩვენი ბავშვები, მესხის ტურნირიო, კოკა-კოლას თასიო და კიდევ არაერთი შეჯიბრი იმართება. აგორებენ პატარები ოღროჩოღრო სტადიონებზე ბურთს, წამოიჩიტებიან იმედისმომცემებიც არიან, მაგრამ მერე უჩუმრად იკარგებიან. ასე იქნება მუდამ. საქართველოში სულ ითამაშებენ ფეხბურთს, კიდევაც დაიზრდებიან ქართველი ბავშვები, მაგრამ სანამ ბავშვთა ფეხბურთს ნამდვილი და გონიერი პატრონი არ გამოუჩნდება, მანამ ტალანტები დაიკარგებიან.

უცხოელებს შევნატრით, სხვისი საფეხბურთო წარმატებები გვხიბლავს და გვშურს მათი, მაგრამ ერთხელაც კარგად თუ ჩაუკვირდები საქმის არსს, აღმოაჩენ, რომ დიდ საფეხბურთო ქვეყნებსაც ჩვენსავით საბირკვლიდან დაუწყიათ, ბავშვთა ფეხბურთისთვის სერიოზულად მიუხედიათ. დღეს ბევრი სახელოვანი და ტიტულიანი ევროპული კლუბები სწორედ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებით სულდგმულობენ.

„სარბიელმა“ ადრე „აიაქსის“ საფეხბურთო სკოლის სტრუქტურა და წეს-ჩვეულებები შემოგთავაზათ, დღეს კი საფრანგეთის საფეხბურთო სკოლებს შორის საუკეთესოს — „ოსერს“ გაგაცნობთ. საფრანგეთის ეროვნული გუნდი მხოლოდ იმიტომ როდი გახდა მსოფლიოში უძლიერესი, რომ ფრანგები ცივილიზებულ და დაწყობილ ქვეყანაში ცხოვრობენ. არამედ იმიტომაც, რომ თავის დროზე ბავშვთა ფეხბურთს გაუხსნეს ფართო გზა. ახლა ნაშრომის ნაყოფს ტკბილად ირგებენ...

ფრანგულმა ფეხბურთმა რომ უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია, ყველას მოეხსენება. ნაკრების მიერ მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლების გარდა ამ ქვეყნის კლუბებიც ძალიან კარგად გამოდიან ევროთასებზე. თუ ისეთი, მდიდარი და სახელოვანი გუნდებისგან, როგორებიც „მარსელი“, „ბორდო“, „პარი სენ ჟერმენი“ და „მონაკო“, ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს, სამაგიეროდ, „ნანტის“, „ოსერის“, „ლანსის“ ანდა „მეცის“ პროგრესი საკმაო სიურპრიზია. თუმცა, თუ კარგად ჩავუღრმავდებით ამ მცირებიუჯეტიანი კლუბების საშინაო და ევროპულ ტურნირებზე მიღწეული წარმატებების მიზეზებს, დავწმუნდებით, რომ მათი აღმასვლა სავსებით კანონზომიერია. კანონზომიერია, რადგან საფრანგეთში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა ფეხბურთს. შედარებით ღარიბი გუნდებიც სწორედ მათ მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ფეხბურთელებით გადიან ფონს და არცთუ ცუდად. მსოფლიოს ჩემპიონების ქვეყანაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით „ნანტის“, „ოსერის“, „ლანსის“, „მეცის“, „ლიონის“ და „მონპელიეს“ სკოლები სარგებლობენ. ამ გუნდებს პატარების აღზრდის თავ-თავიანთი, ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა დიდ-წილად მსგავსი მეთოდები გააჩნიათ.

დასახელებული კლუბებიდან გამოვყოფთ „ოსერს“, რომელიც 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგულ გუნდად შეიძლება ჩაითვალოს. გვინდა, ცოტა ახლოს გაგაცნოთ იგი, როგორც პატარების დიდ ფეხბურთელებად გამზრდელი. ეს პატარა ქალაქი, რომელიც პარიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 120 კმ-ში მდებარეობს, მხოლოდ 40 ათას მცხოვრებს ითვლის. არადა, „ოსერმა“ 1995-96 წლების სეზონში დუბლი შეასრულა და ევროთასების ფინალში მეოთხედ და ნახევარფინალებშიც ბევრჯერ გავიდა.

„ოსერის ახალგაზრდობის ასოციაცია“ — ესაა კლუბის მთლიანი სახელწოდება და მართლაც, „ოსერისთვის“ მთავარი ახალგაზრდების ჩამოყალიბებაა, რაც წლების მანძილზე მშვენიერ ტრადიციად იქცა. მისი სკოლაგავლილები არიან ბოლი, შარბონიე, მარტინი, დიურანი, დუტუელი, ფერერი, მაზოლინი, ვაირუა, კული, გომა, რაბარივონი, დანჟუ, დიომედი და სხვანი. ყველაზე გამორჩეული კი, რა თქმა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგთა კერპი ერიკ კანტონაა.

როგორ ხდება ბავშვების შერჩევა? საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ მოწყობილი სხვადასხვა ტურნირის დროს სკოლის მწვრთნელები პირადად არჩევენ ნიჭიერ პატარებს, უკავშირდებიან მათ ოჯახებს და თუ თანხმობას მიიღებენ, გამოსაცდელად რამდენიმე დღით თავისთან მიჰყავთ. გარდა ამისა, ზოგიერთი მსურველი თავად ითხოვს „ოსერის“ სკოლაში მიღებას. მათთვის მაისში საგანგებო შეკრებები ეწყობა. კანდიდატების ტექნიკაზე, სისწრაფესა და ფიზიკურ მონაცემებზე დაკვირვების შემდეგ მათ რამდენიმე საწვრთნელ მატჩს ათამაშებენ, მერე კი ყოველწლიურად ყოველ ასაკობრივ ჯგუფში 4-6 ახალწვეულს იმატებენ.

ვარჯიშებს „ოსერის“ ყოფილი ფეხბურთელები ხელმძღვანელობენ. მოზარდები სამ ასაკობრივ ჯგუფად არიან დაყოფილნი — 15-წლამდელები, 15-17 წლისანი და 17 წელზე უფროსები. თითოეული ჯგუფი თავისი სპეციფიკური პროგრამით ვარჯიშობს. ყველაზე პატარები კვირაში 5-6-ჯერ (ჯამში 8 საათი) ტექნიკისა და ინდივიდუალური თამაშის გაუმჯობესებაზე ზრუნავენ, თან საფრანგეთის 13-წლამეტალთა ჩემპიონატის ერთ მატჩს ატარებენ. შუათანებს ძირითადად ფიზიკურად ავარჯიშებენ კვირაში 9-ჯერ (12-14 საათი), გარდა ამისა, თამაშისას ტექნიკური ილეთების საჭირო მომენტში გამოყენებას ასწავლიან. უმცროსებივით მათაც აქვთ კვირაში ერთხელ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩი თავიანთ თანატოლებთან. ფეხბურთელებად ჩამოყალიბების ბოლო ეტაპზე მყოფნი „ოსერის“ ფარმ-კლუბში თამაშობენ, რათა პროფესიონალურ დონეზე გამოსვლას შეეჩვიონ, ძირითად გუნდს თუ დასჭირდა, ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება პირველი დივიზიონის ანაც ევროთასის მატჩშიც მიიღოს მონაწილეობა. მათ კვირაში 8 ვარჯიში უტარდებათ, რაც მთლიანობაში 12 საათს შეადგენს.

„ოსერის“ სკოლა „აბატ დეშანის“ სტადიონის მახლობლად 5 ჰექტარ ფართობზეა განლაგებული. საცხოვრებელი შენობების გარდა იქ ორი საფეხბურთო მოედანი (პირველის ზომებია 106 მX68 მ, მეორესი 130X68), ერთი სინთეტიკური მოედანი (40X20), ერთი ჩოგბურთის კორტი, ერთი გადახურული საფეხბურთო დარბაზი (55X35) და ერთიც ფიზიკური მომზადების დარბაზია (150 მ²).

ახალგაზრდების ჩვეულებრივი დღის განრიგი ასეთია: 7.15 ადგომა, 7.30 საუზმე, 8.00 გაკვეთილები, 9.45 ვარჯიში, 12.00 სადილი, 12.30 თავისუფალი დრო ან მკვდარი საათი, 14.00 გაკვეთილები, 15.30 ვარჯიში, 18.00 ინდივიდუალურად მეცადინეობა, 19.00 ვახშამი, 19.30 თავისუფალი დრო, 22.00 ძილი.

როგორც მიხვდებოდით, „ოსერში“ მთავარი მარტო ფეხბურთი არაა. მის აღსაზრდელებს გაკვეთილებიც უტარდებათ და სხვადასხვაგვარ განათლებასაც იღებენ. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ სამწუხაროდ, რაღაც პრობლემის გამო მათ სპორტთან განშორება მოუწევთ. თუმცა აქ ჯანმრთელობაზეც ძალიან ზრუნავენ. ყოველთვიური გამოკვლევების გარდა (სისხლის ანალიზი, კარდიოგრამა...), მომავალი ფეხბურთელები თითქმის ყოველდღე ხვდებიან გუნდის ექიმებს, რომლებიც გულდასმით სინჯავენ მათ. ასე რომ, ახალგაზრდების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია.

აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორია ცხოვრება „ოსერის“ სკოლაში. თითქმის ასევეა მთელ საფრანგეთში. ამის მერე, ალბათ, აღარავის გაუჭნდება კითხვა, რატომ მიაღწია ფრანგულმა ფეხბურთმა ამხელა წარმატებებს.

ამის შემდეგ გაუგებარი არც ის უნდა იყოს, რატომ ვერ მივა ქართული ფეხბურთი კარგა ხანს ახლოს ფრანგულთან.

მამუკა კვანტალიანი
გაიოზ თალაკვაძე

...ასე იზრდებიან მომავალი მსოფლიოს ჩემპიონები

იტალია

თასის გათამაშების მეოთხედფინალი

ფიორენტინა 1:0 ატალანტა

1:0 რობიატი (9)

ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტაროკი, კოისი, რუი კოშტა, რობიატი (ბეტარინი 72), ესპოზიტო, ბატისტუტა

ატალანტა: ფონტანა, კარერა, კ. ძენონი (დონი 40), რუსტიკო, სივილია (ძანინი 71), დ. ძენონი, გალო, ბონანჩინა, ორლანდო, ბანკელი (კაჩა 46), კოსატო

გაფრთხილება: რეპკა, რუსტიკო, რუი კოშტა, ბანკელი, ესპოზიტო

მსაჯი: ბეტინი

ინტერი 5:2 ლაციო

0:1 ვიერი (10), 1:1 კოე (13), 2:1 ჯორკაეფი (25), 2:2 ლომბარდო (34), 3:2 ჯორკაეფი (69), 4:2 ზე ელიასი (84), 5:2 მორიერო (90)

ინტერი: პალიუკა, სიმიჩი, ბერგომი, კოლონეზე, ძანეტი, კოე (ზე ელიასი 76), სიმეონე, მილანეზე (სილვესტრი 46), ჯორკაეფი, ვენტოლა (მორიერო (64), ბაჯო

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, კოუტუ, ფავალი, ლომბარდო (გოტარდი 67), ალმეიდა, დე ლა პენია (მანჩინი 80), სერჯიო კონსეისაო, ვიერი, სალასი

გაფრთხილება: ალმეიდა, ბერგომი, კოუტუ, ფავალი

გაძევება: ნესტა (88)

მსაჯი: ჩეკარინი

პარმა 4:0 უდინეზე

1:0 ვერონი (14), 2:0, 3:0 კრესპო (18, 74), 4:0 ბალბო (90)

პარმა: ბუფონი, მუსი, სენსინი, ტურამი, ფუზერი, დ. ბაჯო (ფიორე 70), ბოგოსიანი, ბენარივო (ვანოლი 86), ვერონი, კრესპო (კიეზა 77)

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ნავასი, ჯანიკედა, ვალემი (აპია 40), იორგენსენი, ბაკინი, ლოკატელი (ვაპენაარი 37), სოსა (ამორიზო 65)

გაფრთხილება: ბენარივო

გაძევება: ტურჩი (36)

მსაჯი: კოლინა

მეოთხედფინალში დაუძლურებული ჩემპიონის „იუვენტუსის“ მძლეველი „ბოლონიას“ ნახევარფინალური მეტოქეც გაირკვა. როგორც მოსალოდნელი იყო, სერია A-ს ლიდერმა „ფიორენტინამ“ ქვედა ლიგაში მყოფ ბერგამოს „ატალანტას“ მოუგო და სკუდეტოსთან ერთად თავისთვის ბრძოლასაც აგრძელებს.

მასპინძლები ბერგამოელებს ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით შეებრძოლნენ. პირველ ყოვლისა, ორი მოთამაშის, ნამდვილი ბრაზილიელის — ედმუნდოს და მისი გაბელგიელებული თანამემამულის ლუის ოლივეირას არყოფნაა აღსანიშნავი. ამასთანავე დაცვის მარჯვენა ფრთაზე „ფიორენტინას“ ტრავმირებული მორენო ტორიჩელი აკლდა.

მატჩის მსვლელობის შესახებ ყველაზე კარგად ფლორენციელთა სახელგანთქმული დამრიგებელი დონ ჯოვანი ტრაპატონი მოგვითხრობს.

— პირველ ტაიმში მეტოქეს აშკარად ვაჯობებთ. ბურთსაც უმეტესად ვფლობდით და სახიფათოდაც ვუტევდით. აი, მეორე 45 წუთში კი ჩემთვის მოულოდნელად პოზიციები დავთმეთ და „ატალანტას“ გალაღების საშუალება მივეცით. მეორე ტაიმზე მოკლედ ამას ვიტყვი: ერთი ორჯერ კარგად შევუტიეთ, მეტი არაფერი. შემდეგ ეტაპზე ასე აღარ იქნება.

ერთადერთი გოლი მატჩის დებიუტში, მე-9 წუთზე გავიდა, როდესაც მეტოქის საჯარიმოში შესაღწევად ჯიქურ (ტრადიციულად) მებრძოლი დიდი ბომბარდირი გაბრიელ ომარ ბატისტუტა ბერგამოელმა მცველებმა წესების დარღვევით შეაჩერეს და ანსელმო რობიატიმ საკმაოდ ლამაზი საჯარიმო დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია.

ამრიგად, იტალიის თასის გათამაშების ნახევარფინალურ ეტაპზე გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ბოლონია“ „ფიორენტინას“ უმასპინძლებს, ხოლო მილანის „ინტერი“ სერია A-ს მესამე ადგილოსან „პარმას“ ეწვევა. პირველი მატჩები 17 თებერვალს გაიმართება, საპასუხო — 10 მარტს.

ნოდარ ძასრაძე

მოლიპული გზის დასასრული

ტურინის „იუვენტუსი“ ის აღარაა, რაც იყო. ამის შემყურე მთელი საფეხბურთო ევროპა დაფაცურდა. მაგალითად ლონდონის „არსენალის“ განცხადება ივარგებს: ინლისის ჩემპიონი, არაინგლისელი მოთამაშების ყიდვაზე მშიერი გუნდი, „იუვენტუსის“ ჰოლანდიელ ნახევარმცველ, ედგარ დავიდსზე ნადირობას აპირებს. ლონდონელებმა თქვეს, სეზონი რომ ჩამთავრდება, დავიდსის ხელში ჩასაგდებად ნებისმიერ მადრიდის „რეალს“ დავეჭიდებითო.

ყველაფრის მიზეზთა მიზეზი კი ტურინელთა ძლიერების გარანტის, მწვრთნელის, მარჩელო ლიპის გუნდიდან დაგეგმილი წასვლა გახლავთ. მოგეხსენებათ, სეზონის ბოლოს იგი „ინტერს“ მიაშურებს, რასაც ალბათ ფეხბურთელთა ნაწილის გასხვისებაც მოჰყვება. დავიდსს მისი ეროვნული გუნდის ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გუს ჰიდინკი ითხოვს და ყველა ღონეს ხმარობს, „რეალში“ რომ გადაიყვანოს. „რეალმა“ სამი კვირის წინ მოამზადა პირველი ოფიციალური წინადადება „იუვენტუსთან“ მოლაპარაკებების წამოსაწყებად, მაგრამ ბერძნულ „პანათინაიკოსს“ თავდამსხმელი დავორ შუკერი ვეღარი მიჰყიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფული, რომლითაც დავიდსის ყიდვას აპირებდა, მის სალაროში არ შევიდა.

არც „არსენალია“ გულხალდაკრეფილი. ლონდონური კლუბის წარმომადგენლები უკვე რამდენჯერმე იყვნენ იტალიაში...

მაგრამ „იუვენტუსის“ ირგვლივ ატეხილი ამბავი მარტო დავიდსისთვის ბრძოლით არ შემოიფარგლება. ლიპის დაგეგმილმა წასვლამ სხვა კუდებიც გამოიბა. კერძოდ, ტურინელთა გუნდის წამყვან მოთამაშეთა. დიდმა ნაწილმა „მაესტროსთან“ მომავალი განშორება ახლავე მძიმედ განიცადა. თანაც მათ ის არ სიამოვნებთ, რომ ლიპი „იუვენტუსის“ პრინციპული მოწინააღმდეგის, „ინტერის“ თავკაცი უნდა გახდეს.

რას იზამს ალესანდრო დელ პიერო?

ტურინელ გულშემატკივარს ყველაზე მეტად თავდამსხმელის, ალესანდრო დელ პიეროს შესაძლო წასვლისა ეშინიათ. ამბობენ, ლიპის გარეშე დელ პიეროს „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში დარჩენა აღარ მოესურვება, რამაც (დელ პიეროს გუნდში დარჩენის შემთხვევაში) შეიძლება ახალ მწვრთნელთან გართულებები გამოიწვიოსო. ბევრი იმასაც მოუწოდებს, ლიპის მისეული გუნდის ფეხბურთელები თან უნდა გაყვნენ, „იუვემ“ კი თავიდან დაიწყოს აღმშენებლობაო.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსის“ მომავალი თავკაცი უწინ „პარმაში“ ნამუშევარი კარლო ანჩელოტი იქნება.

დასვენებაზეც ხომ არ გვეფიქრა?

ინგლისური პრემიერლიგა მომდევნო სეზონს ერთი კვირით ადრე დაიწყებს. ამით ალბიონზე დატვირთული კალენდრის შედარებით განმუხტვას ფიქრობენ.

მაგრამ ის, რაც კლუბების თავმჯდომარეებს კარგ იდეად მიაჩნიათ, ფეხბურთელთა კავშირის შეფს არ მოსწონს. გორდონ ტეილორმა ასეთი რამ თქვა:

„უკიდურესად შემაშფოთა იმ ფაქტმა, რომ პირველობის ერთი კვირით ადრე დაწყება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს სეზონს თითქმის 52 კვირამდე გაუზრდის“.

ტეილორმა ჩამოთვალა უკლებლივ ყველა შეჯიბრება, შინაური თუ საერთაშორისო, რომლებშიც ინგლისური კლუბები მონაწილეობენ და დასძინა, რომ ახალი მოსაზრების მიხედვით მომავალი სეზონი 7 აგვისტოს უნდა დაიწყოს.

ტეილორის შეშფოთებისა და ეჭვის საგანი გასაგები. იგი ამბობს, რომ სეზონის გაწელვით უძლიერესი ინგლისელი მოთამაშეები ვერაფერს მოიგებენ.

„მართალია ჩემპიონატის ერთი კვირით ადრე დაწყებამ შესაძლოა სეზონის ინტენსივობა შედარებით განმუხტოს, მაგრამ ძალიან ბევრი მატჩის პრობლემას ეს ვერაფრით გადაგვიწყვეტს. პირიქით, დამატებული კვირა მათ მეტი შეხვედრის ჩასმის საშუალებას მისცემთ“ — ამბობს იგი და დასძენს — „დროა ფიფამ მეტისმეტად სერიოზულად იფიქროს ისეთი პერიოდის შემოღებაზე, რომლის განმავლობაშიც მთელს დედამიწაზე ერთი თამაშიც არ გაიმართება. ეს ორგანიზაცია ვალდებულია წლის განმავლობაში თამაშების რაოდენობა შემოსაზღვროს. მხედველობაში მაქვს როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონე. მე თუ მკითხავთ ერთი ადამიანისგან 50 ან 55 მატჩის მეტი არ უნდა მოვითხოვოთ“.

ცნობილია, რომ უეფას პრემიერლიგაში კლუბების 18-მდე შემცირება სურს, მაგრამ თავად ინგლისელები საამისოდ ჯერჯერობით არაფერს აკეთებენ. ამას ტეილორიც კარგად ხედავს და ამბობს, რომ პრემიერლიგა უეფას ეურჩება:

„ნამდვილად არ ველი პრემიერლიგის მხრივ თამაშების რაოდენობის შემცირებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უეფასთან დაძაბულ ურთიერთობას ბოლო უნდა მოეღოს“.

საფრანგეთი

თასის მეორე წრის კენჭისყრა

შატორუ (II) — ლავალი (II); მასკიალი (II) — მეცე; რუანი (V) — სენ დენი სენ ლო (IV); ბულონი (IV) — ლილი (II); ამიენი (II) — ლე ავრი; ანგულემი (III) — შატელრო (IV); ლანსი — მარსელი; ფკ პარიზი (III) — მონტანიარდი (V); სოშო — სენ ეტიენ (V); ლე მანი (II) — რენი; გენგამი (II) — სტრასბური; პსჟ ან ტუარი (III) — ნანტი; აიაჩო (III) — ტრუა (II); დიუონი (IV) — სედანი (II); კლერმონი (IV) — ფიურა-სიუდი (V); გრენობლი (IV) — ნიმი (II);

შეხვედრები გაიმართება 20 და 21 თებერვალს.

პირველი წრის გადათამაშება ტუარი — პსჟ 9 თებერვალს გაიმართება.

ბრაზილია

II ტური

რიო — სან პაულუს ტურნირი

II ჯგუფი

ფლამენგო 4:4 ბოტაფოგო

კორინთიანსი	1:2			სან პაულუ		
სან პაულუ	2	2	0	0	3:1	6
ბოტაფოგო	2	1	1	0	10:5	4
ფლამენგო	2	0	1	1	5:6	1
კორინთიანსი	2	0	0	2	2:8	0

ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გადიან.

ბრაზილიელი დენილსონი და ესპანელი ტონი პრატსი სევილიის „ბეტისის“ ხელმძღვანელობამ გაურკვეველი თანხით დააჯარიმა. როგორც პრიმერა დივიზიონის კლუბის პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ განაცხადა, ზემოხსენებული ორი მოთამაშე ბევრს ლაპარაკობს. რამდენიმე დღის წინ დენილსონს, მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელს და ტონი პრატსს „ბეტისის“ მწვრთნელი ხავიერ კლემენტე გაუკრიტიკებიათ. „მათთვის უკეთესია, კარგად ითამაშონ. მწვრთნელის კრიტიკა არაფერს მოუტანთ. შედეგი არ ჩანს, ამაში კი ფეხბურთელები არიან დამნაშავენი“ — განაცხადა მანუელ რუის დე ლოპერამ. ფეხბურთელები იმაზე განაწყენებულან, რომ ესპანეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, ბოლო ტურში, ბილბაოელებთან მატჩში, მათთვის თამაშის საშუალება არ მიუცია. „ბეტისის“ პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ გუნდი დენილსონს შეელევა, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე მასში საჭირო თანხას, რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს გადაიხდის.

ნიგერიას ფიფას წარმომადგენლები ეწვივნენ, რომლებიც იმ რვა ქალაქს მოინახულებენ, სადაც წლეულს ზაფხულში იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს ფიფამ იგივე ტურნირი თავდაპირველად ნიგერიაში დაგეგმა, შემდეგ ყატარში გადაიტანა, რადგან „სუპერარწივების“ სამშობლოში ასეთი დონის შეჯიბრის აუცილებელი პირობები არ იყო შექმნილი. ნიგერია 99-ის პრესატაში პოლ ბესამ განაცხადა, რომ გუნდების შესანიშნავად მიღებისთვის ქვეყანა მზადაა და რომ ტურნირი მაღალ დონეზე ჩაივლის. ფიფას წარგზავნილები სწორედ ბესას სიტყვების სიმართლეში დასარწმუნებლად ეწვივნენ ნიგერიას. იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი 3-24 აგვისტოს გაიმართება.

პორტუგალიელი ჰელდერ მარინო როდრიგეშ კრისტოვაო, უფრო კი, უბრალოდ, ჰელდერად ცნობილი ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. ესპანური კლუბის, ლა კორუნიას „დეპორტივოს“ მცველმა მარჯვენა მუხლის მყესები გაიწყვიტა და ბოლო ერთი წლის მანძილზე აგერ უკვე მესამე ოპერაციას გაიკეთებს. „დეპორტივოს“ წარმომადგენლებმა დახმარებისთვის „ბარსელონას“ ექიმებს მიმართეს. პორტუგალიის ნაკრებში 26-ჯერ ნათამაშევმა ჰელდერმა ბოლოს თითქმის წელიწადის წინ ითამაშა. 27 წლის ფეხბურთელს 2002 წელს უმთავრდება „დეპორტივოსთან“ კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ ჰელდერი ესპანურ კლუბში გადასვლამდე შშობლიური „ბენფიკას“ ღირსებას იცავდა, სადაც პორტუგალიის ჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელიც გახდა.

გულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, სოფიის „ლევსკის“ პრეზიდენტი ტომაშ ლაფჩისი 6 ათასი დოლარით დააჯარიმა, რადგან მან მეტოქე გუნდის, ლოვეხის „ლიტექსის“ მოთამაშეები ტყუილუბრალოდ დაადანაშაულა დოპინგის ხმარებაში. ლაფჩისის განცხადებამ ბულგარეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა, საქმეც შეისწავლეს, მაგრამ ნათქვამის სიმართლეში რომ ვერ დარწმუნდნენ, ბრალმდებელი დასაჯეს. ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრე „ლიტექსმა“ პირველ ადგილზე დაასრულა, „ლევსკი“ კი ჯერჯერობით მეორეა.

ნორვეგიელმა ფეხბურთელმა ჰენინგ ბერგმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სათადარიგო ფეხბურთელთა შორის ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობო. ბერგი ინგლისის ბოლო წლების უძლიერეს გუნდს გასული სეზონის დასაწყისში შეუერთდა 8,2 მილიონ დოლარად, თუმცა მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 17-ჯერ ითამაშა. „მთელი ცხოვრება ძირითადში ვთამაშობდი, აქ კი სათადარიგოთა სკამზე აღმოვჩნდი. მივხვდი, რა არის ვინმეს დუბლიორობა. ეს ძალიან ძნელია. ვეცდები, სიტუაცია გამოვასწორო“ — განუცხადა მცველმა „ივნინგ სტანდარტს“.

ესპანეთის „ბარსელონა“ წლეულს საუკუნოვან იუბილეს იზეიმებს. კატალონიური კლუბი ამ ბრწყინვალე თარიღის შესანიშნავად აღნიშვნას აპირებს, თუმცა მთავარი ისაა, რომ ლუის ვან გაალის გუნდი ასი წლის იუბილეს ჩემპიონის ტიტულით შეხვდეს. შეძლებს თუ არა ამას „ბარსელონა“, გაბაფხულზე გაირკვევა, თუმც 28 აპრილს „კამპ ნიუზე“ კლუბი იუბილეს სხვანაირად აღნიშნავს — „ბარსელონა“ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიას დაუპირისპირდება.

შოტლანდიის თასის მფლობელმა „ჰართსმა“ შესაძლოა, ესპანელი თავდამსხმელი ხუან ხოსე კარიონდო დროებით დაკარგოს. ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელმაც მხოლოდ სამი თვის წინ მოაწერა ხელი შოტლანდიურ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს, ესპანეთის ჯარში ეძახიან. მას მიწვევა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროდან მიუვიდა. თუ კარილანდო, მეტსახელად ხუანხო, ჯარში გაიწვიეს, „ჰართსში“ იგი წელიწადს ვერ ითამაშებს. კლუბის მწვრთნელმა ჯიმ ჯეფერისმა განაცხადა, ესპანეთში ფეხბურთელის აგენტს დავუკავშირდი და საქმის მოგვარება ვთხოვეო. „მე შოტლანდიის ფეხბურთში ახლა ვიკიდებ ფეხს. მერწმუნეთ, გამიჭირდება მეგობარი გოგონასა და „ჰართსის“ ერთი წლით დატოვება“ — თქვა ხუანხომ. სხვათა შორის, შოტლანდიურ კლუბში იგი „ბარსელონადან“ მოხვდა. მაშინ ფეხბურთელი კატალონიური კლუბის მეორე შემადგენლობაში თამაშობდა.

ინგლისელ ფორვარდ სტენ კოლიმორს პირად ცხოვრებაში ისეთი პრობლემები შეექმნა, რომ ამან ფეხბურთელის კარიერაზეც მოახდინა გავლენა. „ასტონ ვილას“ ბრგე თავდამსხმელი ამ ბოლო ხანში სათანადოდ ვერ თამაშობს და ბირმინგემელი კლუბის შემადგენლობაშიც იშვიათად ხვდება. „ჩვენ სტენს ყველანაირად მხარში ვუდგავართ და გავიხარებთ, თუ იგი ძველ ფორმას აღიდგენს“ — განაცხადა კლუბის მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ. ბოლო ტურში „ევერტონთან“ მატჩს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გლენ ჰოდლი ესწრებოდა. ეს კოლიმორომ კარგად იცოდა, თუმცა თავის გამოჩენა ვერ მოახერხა.

მაროკოელმა სალაჰედინ ბასირმა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე შოტლანდიასთან 3:0 მოგებულ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა, შესაძლოა ახალი სეზონი ესპანურ „დეპორტივოში“ კი არა, რომელიმე ფრანგულ კლუბში დაიწყოს. ბასირს ლაკორუნიელებთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. „რამდენიმე გუნდი შემეხმიანა. კარგი წინადადებებიც შემომთავაზეს, თუმცა კარიერას, ალბათ, „ნანტში“ გავაგრძელებ. მათი წინადადება ყველაზე მისაღები მეჩვენა“ — განაცხადა 26 წლის ფეხბურთელმა. გასულ სეზონში ბასირმა პრიმერა დივიზიონში 21 შეხვედრაში მხოლოდ 5 გოლის გატანა მოახერხა. აფრიკელ მოთამაშეს „დეპორტივომ“ კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ თავდამსხმელმა იუარა.

გიო ახვლედიანის

სვეტი

თხუთმეტი წუთი

ერთ-ერთი ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ამბავი ბოლო წლების ფეხბურთში რობერტო ბაჯოს ამბავია. ეს ამბავი, იმდენად არის გულდასაწყვეტი, რამდენადაც, ბოლო ხუთ წელიწადში, ბოლონიური საკლუბო სეზონის გამოკლებით, ბაჯო სათადარიგო მოთამაშედ, ანუ მეთორმეტე კაცად აქციეს.

გულდაწყვეტილებას აღარაფერი ემჯელება. ხუთი წელიწადი, ხუთი წელიწადი. სენიორო! რამდენი სამოცდათხუთმეტი წუთი დაუშალეს გულშემატკივარს ბაჯო. შემოიყვანდნენ თხუთმეტი წუთით. ათიდან რვა შემთხვევაში ბრწყინვალე იყო. შემოუტრიალებია ათობით თამაშის ბედი. თან, ძალიან მოხდენილად და შთამბეჭდავად. კაცი — ნამდვილი ხიფათი. აქა-იქ რაღაც სახელებს ამოუყენებდნენ ხოლმე, ვერდინჯ კიო, გუშინ ბაჯოო, დღეს კი დელ პიეროო. ჰმ, სენიორ, ჰმ...

მოსკოვის „სპარტაკში", ბესკოვის დროებაში იყო მავანი ვეტერანი გლადილინი. გამოიყვანდა ბესკოვი ბოლო წუთებზე და გლადილინიც გაიტანდა ხოლმე. ბესკოვი „ვერტუშკების" ამწყობი ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ რობერტო ბაჯო, გლადილინია?

თქმულა, რომ მწვრთნელები ახირებული ხალხია. ჩვენ დავუმატებდით, რომ ხშირად მწვრთნელები გაბოროტდებიან ხოლმე და იმგვარად გაუჯდებათ ფიქრში ნახაზები და დავთრებში ჩაწერილი ამბები, რომ გულში შიში შეეპარებათ. ეს არის შიში რომელიმე მოთამაშის მოედანზე გაყვანისა.

ჩვეულებრივ, ასეთი მოთამაშეები არიან საშაროს ყველაზე გამორჩეული მობურთალნი. პელეს, მარადონას და კრუიფს, ბედად არ შეხვედრიან ისეთი მწვრთნელები, ფეხბურთად რომ საკუთარ პერსონას აღიქვამდნენ და არა მათ. რასაც რობერტო ბაჯო აკეთებს ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში სერია A-ში, ყველაზე რთულ ადგილას ევროპულ შიდა შეჯიბრებებში, არის უმაღლესი დონის ფეხბურთი. ამის თქმას დიდი არაფერი ჭკუა და მიხვედრილობა არ უნდა, მაგრამ ჩანს, დიდი მიხვედრილობა და „ინტერში" მირჩა ლუჩესკუს გამოჩენა დასჭირდა ბაჯოს ძირითად შემადგენლობაში გამოყვანას.

აჰ, რამდენ ცრუ და სანახევრო ვარსკვლავს უთამაშია ბოლო წლების „ინტერის" ძირითადში!

ვერავინ დაითვლის.

აჰ, რამდენ ცრუ და სანახევრო ვარსკვლავს უთამაშია ბოლო წლების „მილანის" ძირითადში!

ვერავინ დათვლის.

თვით „იუვენტუსშიაც" ვერავინ დათვლის ასეთ ხალხს!

ფაბიო კაპელომ ხომ მადრიდიდანვე დარეკა, „მილანში" მოვდივარ და ეგ ბაჯო მანდ აღარ დაბზვდესო. ჩავარდნა რომ ჰქონია (და ვის აღარ ჰქონია ეს ოხერი „ჩავარდნა"?) ისიც კი უთქვამთ, ემაგას დინო ბაჯო ჯობს, ის არის ნამდვილი ბაჯოო. ჩეზარე მალდინის ხომ ლამის ის კარგად შეღებილი თმა გაუთეთრდა ამ საკითხის გადაწყვეტაში, ღირს თუ არა, რობერტოსთვის ადგილის მოცდენა ოცდაორ კაცშიო. დი ლივიო კიო, დი ბიაჯო კიო, დი მატეოც კიო და კიო და რობერტო ბაჯო მიექვეხსო.

ასეთი ბედის კაცია. თხუთმეტი წუთი და, ალბათ, საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელის სახელი.

მაგრამ გულდაწყვეტილობას ვერაფერს მოუხერხებ. რამდენი სამოცდათხუთმეტი...

იმ საღამოსაც, უკვე გასულ ოთხშაბათს, სათასო მატჩს გადმოსცემდნენ სან-სიროდან. „ინტერმა" 5:2 მოუგო „ლაციოს" და ბაჯო ძირითადში იყო. ანუ, თავიდანვე იყო. გოლი არ გაუტანია, მაგრამ ძაااალიან კარგად ითამაშა. ძალიან კარგად, ლამაზად და საარგებლოდ. სულ იმას ვფიქრობდი, რა იქნებოდა რომ სულ ძირითადში ეთამაშა, ნაკრებში არ ეტანჯათ და ყოველად უნამუსოდ თხუთმეტ-თხუთმეტი წუთი არ მიეცათ თამაშების შემოსაბრუნებლად — მეთქი.

ვინ იქნებოდა რობერტო ბაჯო მას შემდეგ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად რომ აღიარეს?

ეჰ, სენიორ, ეჰ...

ხუთი წელიწადი ჯიბიდან ამოაცალეს. ჩვენ კი, მილიონებს დაგვიმალეს საუცხოო ფეხბურთი.

იყიდება ჟუნინიო

ცოტა შორიდან დავიწყოთ. რამდენიმე დღის წინ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟუნინიომ მადრიდის „ატლეტიკოს" დატოვება განიზრახა და ამის შესახებ ხმამაღლაც განაცხადა. გაიგო თუ არა ეს ამბავი ინგლისური პრემიერლიგის მეორეადგილოსნის ბირმინგემის „ასტონ ვილას" თავკაცმა ჯონ გრეგორიმ, კლუბის თავმჯდომარე დაგ ელისს ეწვია, სასწრაფოდ თანხა უნდა გამომიყოთ, ამ შანსის (ჟუნინიოს) ხელიდან გაშვება არ იქნებაო. ელისმაც ჯიბეზე ხელი გაიკრა — გარიგების მოსაკვარახჭინებლად 17 მილიონი დოლარი გამოჰყო.

ამ დროს საიდანღაც ბრაზილიელის ყოფილმა კლუბმა „მიდლსბროშ" გამოყო თავი, რას მიქვია „ასტონ ვილა", ჟუნინიო „ატლეტიკოს" რომ მივყიდეთ, კონტრაქტში ისიც ჩაიწერა, თუ მადრიდელები მის გაშვებას დაპირებენ, პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შეგვატყობინონო. მოკლედ, ჟუნინიო ჩვენ გვინდაო.

ესპანური კლუბის პრეზიდენტმა, სულ ახლახან პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ხუსუს ხილი ხილმა ამ ამბავთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არიგო საკის ადგილზე ფეხბურთელს არსადაც არ გაუშვებდა, ხოლო „ატლეტიკოს" იტალიელმა თავკაცმა თქვა: ჟუნინიო ფეხბურთის გარდა ყველაფერზე ფიქრობს, ამიტომ მოედანზე ღირებულს ვერაფერს ქმნის და ძირითადში მის გამწესებას მშვენიერ ფორმაში მყოფი ხუან კარლოს ვალერონის დაყენება მირჩევნიაო.

თავად ჟუნინიო გვარიანად სიტყვაძუნწობდა და მხოლოდ ის თქვა, წასვლა თან მინდა და თან არაო, რამაც ბურუსით მოცული ისტორია კიდევ უფრო დახლართა.

ეს ყველაფერი ცოტა ხნის წინ ხდებოდა.

27 იანვარს კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, დოპინგის მოხმარების წინააღმდეგ მიმართული. „კამპ ნოუზე" ერთმანეთს „ბარსელონა" და პრიმერა დივიზიონში მოთამაშე ვარსკვლავები დაუპირისპირდნენ (კატალონიელებმა 4:0 მოიგეს). იმ შეხვედრაში ჟუნინიომ მხოლოდ 30 წუთს ითამაშა, შემდეგ კი საღღაც გაუჩინარდა.

მეორე დღეს ესპანურ გაზეთებში საინტერესო ფოტოები გამოქვეყნდა — ბრაზილიელი გამთამაშებელი „ასტონ ვილას" წარმომადგენლების გარემოცვაში.

— ეს ჩემთვის უსიამოვნო სიურპრიზი იყო. ჟუნინიოს ავიწყდება, რომ პრესაში კი არა, საფეხბურთო მოედანზე უნდა გამოიჩინოს თავი — აღელვებას ვერ მალავდა მადრიდელთა ორჯერ პატიმრობამისჯილი, ფიცხი ხილი ხილი (პირველად იგი დიქტატორმა ფრანსისკო ფრანკომ დაიხსნა, მეორედ — 750 ათასმა დოლარმა).

— გულშემატკივრებს დიდი სურვილი აქვთ, რომ ჟუნინიომ კარიერა „ატლეტიკოში" გააგრძელოს. ეს კარგია, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა მწვრთნელს ანუ არიგო საკის ეკუთვნის. დღესდღეობით არიგოს მისი კონდიციები არ აკმაყოფილებს, თავად კი გაიძახის, იდეალურ ფორმაში ვარო. შედეგად გარკვეული პრობლემები იქმნება. მათი გადაჭრა ყოველთვის შეიძლება, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ამის თქმა მიჭირს, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ ჟუნინიო მადრიდს გაეცლება, თანაც რაც შეიძლება მალე — ამბობს ხილი ხილი.

არადა, „ატლეტიკოს" დიდი გეგმები აქვს. მადრიდელები ერთბაშად სამ ტურნირზე აგრძელებენ გამოსვლას — პრიმერა დივიზიონში (მეოთხე ადგილი), ესპანეთის თასზე (მეოთხე ეტაპის პირველ მატჩში ხოსე მარისა და კოროეას გოლებით სტუმრად „სოსიედადს" მოუგეს 2:1) და უეფას თასის მეოთხედფინალურ ეტაპზე (2 მარტს „რომას" უმასპინძლებენ). ამიტომ საკი აცხადებს:

— ჩვენთვის „გრძელ სკამს" დიდი მნიშვნელობა აქვს, ალბათ, გადამწყვეტიც. ჟუნინიოს პატივს ვცემ, მაგრამ ვგრძნობ, რომ იგი იმავეთი არ მპასუხობს. რას იზამ, მისი ნებაა, რაც უნდა, ის გააკეთოს. მე კი მხოლოდ ის ფეხბურთელები მჭირდება, რომლებიც ჩემს მითითებებს ზედმიწევნით შეასრულებენ.

დაბოლოს — ესპანური პრესის ცნობით, გუნდს, რომელსაც ჟუნინიოს ყიდვა სურს, 21 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. 1997 წლის ზაფხულში „ატლეტიკომ" მის სანაცვლოდ „მიდლსბროს" 19,3 მილიონი დოლარი შეაძლია.

დავით კოტეზრიძე

მან შეიძლება კარიერა დაინგრიოს

ფლევანდელი სეზონი მიუნხენის „ბაიერნმა" ძალიან კარგად დაიწყო. ბავარიელები პირველივე ტურიდან დაწინაურდნენ და ცხრილის მწვერვალი მხოლოდ ერთხელ, ისიც ერთი ტურით, დაუთმეს ლევერკუზენელებს. ამჟამად ბავარიელები რვა ქულით უსწრებენ უახლოეს მდევარს. მთელი პირველი წრის განმავლობაში თუკი ვინმე გამოირჩეოდა „ბაიერნის" შემადგენლობაში, ერთი უდავოდ მარიო ბასლერი გახლდათ. „სუპერმარიომ" თითქმის ყველა მატჩი ძლიერად ჩაატარა და რამდენიმე გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. ერთი სიტყვით, მწვრთნელებს მის მიმართ სასაყვედურო არაფერი ჰქონიათ. ახლა კი...

„ბაიერნი" სეზონის განახლებისთვის მზადებას 11 იანვარს შეუდგა. მიუნხენელები 17-დან 24 იანვრამდე ესპანეთში იმყოფებოდნენ შეკრებაზე. ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბასლერი შეკრებისთვის საერთოდ მოუმზადებელი იყო, იგი ფორმიდან აშკარად ამოვარდნილია, რაც ძალიან მაღიზიანებს. მართალია, ფეხბურთელებს ზამთრის არდადეგების დროს ინდივიდუალურად ვარჯიშს არ ვავალდებულებთ, მაგრამ ყველა პროფესიონალი ცდილობს, ფიზიკურად მაინც მოემზადოს, რათა ფორმა შეინარჩუნოს. ბასლერს კი, შემიძლია ვთქვა, არაფერი გაუკეთებია. მან ახლა ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს. მარიომ უნდა იცოდეს, რომ მისი სხეული მისივე კაპიტალია და მას ზრუნვა და გაფრთხილება სჭირდება". ჰიტცფელდს არც „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰაინესი ჩამორჩა: „ბასლერი უკვე გავაფრთხილე, რომ თუ კლუბში დარჩენა სურს, 20 თებერვლისთვის ანუ ჩემპიონატის განახლებისთვის მზად უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი გზები გაიყრება, მიუხედავად იმისა, რომ კლუბთან კონტრაქტით 2000 წლის ბოლომდე არის დაკავშირებული. მჯერა, მარიო საქმეს სერიოზულად მოეკიდება და გუნდში კვლავაც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იქნება".

სარბიელის არქივიდან

მარიო ბასლერს ნაკრების მაისურის მოსარგებად დიდი შრომა მოუწევს

თავად „სუპერმარიომ" „ბაიერნის" ხელმძღვანელების ნათქვამს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ვეცდები, დაკარგული ფორმა რაც შეიძლება სწრაფად დავიბრუნო. ახლა მე მეტი შრომა მმართებს, ვიდრე სხვებს. თუმცა აზრი, თითქოს ესპანეთში შეკრების დროს თავს ვზოგავდი და არ ვვარჯიშობდი, აბსურდია. ასეთი ლაპარაკი გულს მიკლავს და ვინც ამას ამბობს, უახლოეს მომავალში საპირისპიროს დავუმტკიცებ".

ამ ამბავმა გერმანიის ნაკრების ახალ თავკაც ერიხ რიბეკზეც იმოქმედა. გერმანელები თებერვლის დასაწყისში აშშ-ში აპირებენ ტურნეს მოწყობას, რომლის განმავლობაშიც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. უკვე გარკვეულია, რომ ამერიკაში გასამგზავრებელთა სიაში არ იქნება მარიო ბასლერი. „ბოლო ექვს თვეში მეორედ დავრჩი ასე გაწბილებული. პირველი და ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი იმედგაცრუება მაისის ბოლოს ვიწვნიე, როდესაც ბერტი ფოგთსმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანა" — გულისნადები გაანდო ჟურნალისტებს „სუპერმარიომ". ბასლერი რომ ამერიკაში ვერ მოდის, ამის მიზეზი თავის თავში ეძიოსო, განაცხადა სპასუხოდ რიბეკმა.

ბოლო სიტყვა ისევ „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა თქვა: „ღრმად ვარ დარწმუნებული, მარიო ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოემზადება და კარიერას არ დაინგრევს. თუმცა საამისოდ მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდება".

ვანო ოქროპირიძე

სპორტული ?!

— *საით მიექანება ფეხბურთი?*

— ფეხბურთი არ მიექანება, არამედ ვითარდება.

— *ეგ არ არის განვითარება.*

— აბა განუვითარებლობაა?

— *ბენ ჯონსონი თუ გახსოვს შენ?*

— მე მეჯიქ ჯონსონი მახსოვს.

— *ბენ ჯონსონი ისეთი იყო, მეჯიქ ჯონსონს დაგავიწყებდა.*

— მე ეგეთი კალათბურთელი არ გამიგონია. ლარი ჯონსონი გამიგონია, ბენ ჯონსონი არა.

— *არ იყო კალათბურთელი.*

— ფეხბურთელი მით უმეტეს, არ გამიგონია. ფეხბურთელები სულ ჯონსტონები იყვნენ, სულ შოტლანდიელები.

— *მორბენალი იყო, კუნთები, ფიგურა, სეულში ვერ დაინახეს როგორ გაიქცა... მერე დოპინგზე დაწვეს.*

— და ფეხბურთი რა შუაშია?

— *აი, ფეხბურთი მიექანება ბენ ჯონსონისკენ.*

— ბენ ჯონსონისკენ არა ტაისონისკენ.

— *ეჰ, რატომ არ გახსოვს ბენ ჯონსონი? მაშინ ყველაფერს მიხვდებოდი.*

— ისედაც მივხვდი. შენ ამბობ, რომ ფეხბურთი სირბილი და ჯაჯგურია.

— *მე მგონია, რომ მალე ვეღარ გამოარჩევ ფეხბურთს და ამერიკულ ფეხბურთს.*

— ფეხბურთის მთავარი უბედურება ის არის, რომ შენისთანები ლაპარაკობენ ფეხბურთზე.

— *ბენ ჯონსონისგან ვერ გამოარჩევ.*

— ვის?

— *ტარიბო ვესტს.*

— და შენ იმის თქმა გინდა, რომ ბაჯო ამერიკული ფეხბურთისკენ მიექანება?

— *ახლა, რაღა ბაჯო?*

— აბა, რივალდო?

— *მე ვამბობ, რომ სირბილის და ჯაჯგურის მეტი არაფერი დარჩება.*

— მე გეუბნები ზიდანი.

— *მე გეუბნები ტარიბო ვესტი.*

— რას ამოიჩემე ეს ტარიბო ვესტი?

— *მაშინ სეზარ სამპაიო. აი, სეზარ სამპაიო გახდება ფეხბურთი.*

— იცი, რას გეტყვი? ბარე ორს ჯობდა ეგ თქვენი სამპაიო.

— *მაგ სიმართლის გატაროს ღმერთმა.*

— ნუ იწყევლები. შენ ფეხბურთი კალათბურთი ხომ არ გგონია?

— *დღევანდელი ფეხბურთის შემხედვარე, კალათბურთი დაიწუნებდა?*

— ხტებიან და ტენიან, ხტებიან და ტენიან. ეგ რა თამაშია?

— *შენ, ჯორდანი რომ წავიდა, იმიტომ ამბობ.*

— თუ ძმა ხარ, კიდევ კარგი, წავიდა. ხალხს გასაქანი მიეცემა.

— *და ფეხბურთიდან ვინ უნდა წავიდეს, რომ ხალხს გასაქანი მიეცეს?*

— ფიფა.

— *მეტი არავინ?*

— გაუშვი, ბერხკამპიც წავიდეს.

— *ვითომ რათაო?*

— ლოდინით თვალები გამოგვიღამა. აი, ხვალ ვიქნები მაგარიო.

— *რა გინდა? არ არის მაგარი?*

— კი, ორ წელიწადში ერთხელ ყველაზე მაგარია. მერე თვითმფრინავის ბილეთს მიუტანენ, შეშინდება და ერთი სეზონი ჭკუაზე მოსვლას უნდება.

— *და ნუ მოაქვთ ეგ თვითმფრინავის ბილეთიც.*

— ეჰ, დაილოცოს ჩვენი ძმა.

— *ვინ?*

— ისა. ჯიგარი. ფეხი არ წაცდენოდა, განახებდათ რამეებს.

— *ვერ ვხვდები, ვინ?*

— შენით არ მკითხე და ეღარ მოვითმინე.

— *რას არ გეკითხები?*

— იმას.

— *ა, ჰო. და გაზა?*

— აი, ეგრე, რა. მკითხე, გული გამიხარე.

— *და გაზა?*

— გაზას ენაცვალოს ჩემი დამწვარი ჯიგარი. აბა, ახლა ახსენე იმას?

— *ვის?*

— ტარიბო ვესტს.

— *არა, არა...*

— პირში წყალი გამოივლონ.

მიმდინარე სეზონში ფრანგულ „ბორდოს“ თავდასხმაში პრობლემები თითქმის არა აქვს. მის წინა ხაზზე მშვენიერი დუეტი, ლილიან ლასლანდი — სილვენ ვილტორდი, იბრძვის. საფრანგეთის პირველი დივიზიონის ბომბარდირთა დავაშიც სწორედ ისინი იმყოფებიან პირველ-მეორე ადგილებზე. ლასლანდს, რომელსაც ლურჯების შემადგენლობაშიც უთამაშია, ჩვენი მკითხველი მეტ-ნაკლებად იცნობს, თუ ვილტორდის შესახებაც ეცოდინება ცოტა რამ, ვფიქრობთ, ურიგო არ უნდა იყოს. გთავაზობთ მის ინტერვიუს, რომელიც „ფრანს ფუტბოლში“ დაიბეჭდა.

მხოლოდ სიამოვნებას ვეძებ

სარგბილის არქივიდან

ვილტორდი მცველ დანი ბუფენთან ორთაბრძოლაში

— სილვენ, ამბობენ, რომ ცუდი ხასიათი გაქვთ, რადგან ძალიან იშვიათად იღიმით, მართალია?

— ყველამ, ვინც მიცნობს, იცის, რომ კარგი ბიჭი ვარ. ვინც არ მიცნობს, ალბათ, ის ფიქრობს ასე. რაც შეეხება ღიმილს, არანაირი სურვილი არ მაქვს, ყველას ვუცინო. ეს იგივეა რომ შენი ნებით რაღაც ნიღაბი გაიკეთო და ისე იცხოვრო. თუმცა ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

— როცა ჟურნალისტებს ხვდებით, არც ესალმებით...

— ხშირად მართლაც არ ვესალმები მათ, მაგრამ თუ კარგ ხასიათზე ვარ, ხანდახან საწინააღმდეგოც ხდება. ასევე მემართება ინტერვიუების გამოც. შეიძლება მოწყენილი ვიყო და საერთოდ გადამავიწყდეს, რომ ვიღაცას საუბარს დავპირდი. თუმცა, ნურვინ დამაბრალებს უზრდელობას...

— ბევრი ლაპარაკი არ გიყვართ?

— არა. ეს აუცილებელიც არაა და ლაყბობის სურვილიც არა მაქვს. ჩემთვის მთავარია, როგორ ვითამაშებ და რამდენ გოლს გავიტან.

— გოლები მართლაც ხშირად გაგაქვთ. რა არის წარმატების მიზეზი?

— შარშანდელთან შედარებით წლეულს გაცილებით უკეთ იმიტომ ვთამაშობ, რომ ამჯერად მოსამზადებელი პერიოდი სრულად გავიარე „ბორდოსთან“ ერთად და თანაგუნდელებსაც გაცილებით უკეთ შევეწყვე. შარშან კი „რენიდან“ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გადმოვედი. თანაც უწინ მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობდი, ჟან-პიერ პაპენის გუნდიდან წასვლის მერე კი მწვრთნელმა ცენტრში გადმომიყვანა.

— წესით „რენიდან“ ესპანეთის „დეპორტივოში“ უნდა გადასულიყავით, მაგრამ საბოლოოდ „ბორდოში“ ამოყავით თავი. რატომ?

— მიუხედავად იმისა, რომ ბრეტონში გატარებული ბოლო სეზონი კარგად ჩავატარე, გუნდი კინაღამ მეორე დივიზიონში დაქვეითდა, მე კი მხოლოდ სამი გოლი შევაგდე. ასე რომ, ეჭვი შემეპარა, შევძლებდი კი ესპანეთში თამაშს. სწორედ ამიტომ ვარჩიე „დეპორტივოს“ „ბორდო“.

— ბორდოში თავს კარგად გრძნობთ?

— კი, მაგრამ მაინც რენი მირჩევნია. იქ ბევრი სტუდენტია და ცხოვრებაც უფრო ხალისიანია.

— თუ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდებით, კლუბის ხელმძღვანელებს ხელფასის გაზრდას ხომ არ მოსთხოვთ?

— არავითარ შემთხვევაში. როცა კონტრაქტს ხელს აწერ, იცი, რამდენსაც მიიღებ. რაკი ბევრი გავიტანე, იმიტომ კონტრაქტის გადასინჯვას არ მოვითხოვ, გოლები მარტოს ხომ არ გამაქვს — მთელი გუნდი მეხმარება. და საერთოდ, ვფიქრობ, რომ ყველა იმას იღებს, რასაც იმსახურებს.

— საფრანგეთის ნაკრებში თამაშს თუ იმსახურებთ?

— აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ყველა გუნდში მოიძებნება ორი-სამი ფეხბურთელი, რომლებიც ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაშს შეძლებდნენ, მაგრამ ნაკრებში ყველას ვერ მიიწვევენ. ასე რომ, თუ არ მიმიწვიეს, ამას იოლად გავიგებ. თუმცა „ლურჯების“ შემადგენლობაში თამაში ჩემი, ისევე როგორც სხვების, ოცნებაა და მის განსახორციელებლად თავს არ დავზოგავ.

— რანაირად ცხოვრობთ?

— ჩვეულებრივად. მე და ჩემ მეგობარ გოგონას სოფელში სახლი გვაქვს, რათა სიმყუდროვეში ვიყოთ. ვუსმენთ მუსიკას, დავდივართ კინოში, ხანდახან კითხვაც მიყვარს...

— ერთი სიტყვით, წყნარად ცხოვრობთ.

— მშვიდად. არ მინდა თავი მხოლოდ ფეხბურთით მქონდეს გამოტენილი. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის, არ მსურს, მუდამ ბურთზე ვიფიქრო. უბრალოდ, მინდა, კარგად ვიყო. ცხოვრებაში მხოლოდ სიამოვნებას ვეძებ, ისევე როგორც მინდორზე.

— მომავალზე თუ ფიქრობთ ხოლმე?

— წინ, ალბათ, კარგი რამეები მელის. 24 წლის ვარ, ამბიციაც მაქვს და კიდევ უფრო მეტის მიღწევის სურვილიც.

— უცხოეთში ხომ არ აპირებთ წასვლას?

— ჯერ არა. თუმცა როცა საზღვარგარეთ მოთამაშე ფრანგებს ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ერთ დღეს, ალბათ, მეც მათსავით დროებით ემიგრაციაში წავალ.

თარგმნა
გაგი გურულმა

სარგბილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია “CROCO”

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIII ტური

30 იანვარი			
ბლეკბერნი — ტოტენჰემი	2,2	2,9	3,0
ქოვენთრი — ლივერპული	3,3	2,8	2,1
ევერტონი — ნოტინგემი	1,5	3,3	6,0
მიდლსბრო — ლესტერი	1,8	2,8	4,4
ნიუკასლი — ასტონ ვილა	2,5	2,9	2,5
შეფილდ უენსდეი — დერბი	2,3	2,8	2,9
საუთჰემპტონი — ლიდსი	3,1	3,0	2,1
უიმბლდონი — ვესტ ჰემი	2,2	2,8	3,1
31 იანვარი			
არსენალი — ჩელსი	2,2	2,8	3,1
ჩარლტონი — მანჩესტერი	5,6	3,0	1,6

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIX ტური

30 იანვარი			
ბოლტონი — ნორვიჩი	1,6	3,0	5,6
ქრიუ — შეფილდ იუნაიტედი	2,8	2,9	2,3
ჰადერსფილდი — ბრისტოლი	1,5	3,3	6,0
ოქსფორდი — ბარნსლი	2,5	2,8	2,6
ქუინზ პარკი — პორტსმუთი	1,7	3,0	4,7
სტოკპორტი — ვულვერჰემპტონი	2,4	2,8	2,7
სვინდონი — ბერი	1,7	2,9	5,0
ტრანმერი — კრისტალ პალასი	2,1	2,8	3,3
უოტფორდი — სანდერლენდი	2,6	2,8	2,5
ვესტ ბრომვიჩი — გრიმსბი	1,8	2,9	4,2
იფსვიჩი — პორტ ვეილი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
31 იანვარი			
ბირმინგემი — ბრედფორდი	2,1	2,8	3,3

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIX ტური

31 იანვარი			
უდინეზე — ბოლონია	1,9	2,8	3,8
რომა — ემპოლი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
პიაჩენცა — ინტერი	3,8	2,8	1,9
კალიარი — იუვენტუსი	2,7	2,8	2,4
ბარი — ლაციო	2,6	2,9	2,4
მილანი — სალერნიტანა	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
პერუჯა — სამპდორია	1,9	2,8	3,8
პარმა — ვენეცია	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
ფიორენტინა — ვიჩენცა	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XX ტური

30 იანვარი			
კიევო — ტრევიზო	3,6	2,7	2,0
31 იანვარი			
ჯენოა — ატალანტა	2,7	2,7	2,5
ჩეზენა — ბრეშა	3,6	2,7	2,0
ტორინო — კრემონეზე	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
რეჯინა — ლეჩე	2,2	2,7	3,2
ლუკეზე — მონცა	2,1	2,7	3,4
კოზენცა — ნაპოლი	3,4	2,7	2,1
ფ. ანდრია — რავენა	3,0	2,7	2,3
რეჯანა — ტერნანა	1,8	2,8	4,4
პესკარა — ვერონა	2,4	2,7	2,8

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური

30 იანვარი			
ოვიედო — სოსიედადი	2,0	2,7	3,6
მალიორკა — სალამანკა	1,15	5,6	10,0
0:1	1,7	2,9	3,5
ატლეტიკო — ვალენსია	1,9	2,8	3,8
ვილიარეალი — რეალი	3,1	2,8	2,2
ბილბაო — სარაგოსა	1,5	3,2	6,5
ბეტისი — ალავესი	1,35	3,6	7,5
0:1	2,0	3,0	2,4
31 იანვარი			
ტენერიფე — ესპანიოლი	1,9	2,9	3,6
დეპორტივო — სელტა	2,0	2,9	3,4
ვალიადოლიდი — ესტრემადურა	1,6	3,0	5,6
ბარსელონა — რასინგი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXII ტური

30 იანვარი			
რეკრეატივო — კომპოსტელა	2,0	2,7	3,6
ბარსელონა B — მალიორკა B	2,4	2,9	2,6
ეიბარი — მალაგა	3,5	2,8	2,0
ლეგანესი — ლეიდა	2,5	2,9	2,5
31 იანვარი			
ორენსე — სევილია	3,3	2,8	2,1
მერიდა — ნუმანსია (15^{00})	2,4	2,8	2,7
ბადახოსი — ლოგრონიესი	2,3	2,7	3,0
ოსასუნა — რაიო ვალეკანო	1,9	2,8	3,8
ერკულესი — ატლეტიკო B	2,3	2,8	2,9
ალბასეტე — ლას პალმასი	2,9	2,8	2,3
ტოლედო — სპორტინგი	1,4	3,5	7,0
0:1	2,1	3,0	2,3

საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური

30 იანვარი			
ლორიანი — ნანტი	2,9	2,8	2,3
ნანსი — მონპელიე	2,2	2,8	3,1
ლანსი — ლიონი	2,1	2,8	3,3
სტრასბური — ლე ავრი	1,7	3,0	4,7
სოშო — ოსერი	2,5	2,8	2,6
ტულუზი — მეცი	2,4	2,8	2,7

პორტუგალიის ჩემპიონატი. XX ტური

30 იანვარი			
ფარენსე — პორტუ	5,0	3,2	1,6
რიუ ავე — სეტუბალი	2,1	2,8	3,3
ბაავიშტა — კამპომაიორენსე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
31 იანვარი			
ამადორა — შავეში	1,4	3,5	7,0
0:1	1,0	3,2	2,3
მარიტიმუ — ბრაგა	1,9	2,9	3,6
ალვერკა — ლეირია	2,4	2,8	2,7
სპორტინგი — აკადემიკა	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
1 თებერვალი			
გიმარაეში — სალგეირუში	1,9	2,8	3,8

ბელგიის ჩემპიონატი. XXII ტური

30 იანვარი			
შარლეროა — ოსტენდე	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
გენკი — გენტი	1,45	3,4	6,5
0:1	2,1	3,0	2,2
ვესტერლო — ჰარელბეკი	1,5	3,4	5,6
მუსკრონი — ლოკერენი	1,9	2,8	3,8
ბევერენი — ლიერსი	2,5	2,9	2,5
სენტ ტრუიდენი — აალსტი	1,5	3,4	5,6
31 იანვარი			
კორტრაიკი — სტანდარდი	3,5	2,8	2,0
ეკერენი — ლომელი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8

თურქეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

30 იანვარი			
ქოჯაელი — სამსუნი	1,5	3,2	6,5
ფენერბაჰჩე — დარდანელი	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
31 იანვარი			
ერზურუმი — გენჩლერბირლიგი (14^{00})	2,4	2,8	2,7
გაზიანთეფი — ტრაბზონი (15^{30})	4,2	2,9	1,8
ანთალია — საქარია (15^{30})	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
ქარაბუქი — ბურსა (15^{30})	3,0	2,9	2,2
ისთანბული — ადანა (15^{30})	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ალთაი — გალათასარაი	6,0	3,3	1,5

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური

30 იანვარი			
აბერდინი — რეინჯერსი	5,6	3,0	1,6
დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი	1,6	3,0	5,6
ჰარტსი — მოზერველი	1,8	2,8	4,4
კილმარნოკი — დანდი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
31 იანვარი			
სელტიკი — სენტ ჯონსტონი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5

საფრანგეთის თასი. მერვედფინალი

1 თებერვალი			
მონაკო — პსჟ	1,9	2,8	3,8

ჰოკეი. NHL

30 იანვარი			
ბუფალო — ლოს ანჯელესი	1,4	4,4	3,4
ტორონტო — ვაშინგტონი	1,25	4,4	4,4
მონრეალი — კაროლინა	1,8	4,4	2,2
ოტავა — აილენდერსი	1,3	4,4	4,0
ნიუ ჯერსი — ნეშვილი	1,3	4,4	4,0
ფილადელფია — ტამპა ბეი	1,15	4,4	5,6
პიტსბურგი — ბოსტონი	1,8	4,4	2,2
ფლორიდა — დალასი	2,2	4,4	1,8
დეტროიტი — რეინჯერსი	1,6	4,4	2,7
კალგარი — სენტ ლუისი	2,0	4,4	2,0
კოლორადო — სან ხოსე	1,5	4,4	3,0
ედმონტონი — ანაჰაიმი	1,8	4,4	2,2
ვანკუვერი — ჩიკაგო	1,7	4,4	2,4
31 იანვარი			
ბოსტონი — კაროლინა	1,8	4,4	2,2
მონრეალი — პიტსბურგი	2,0	4,4	2,0
ნეშვილი — ფინიქსი	2,1	4,4	1,9
1 თებერვალი			
ნიუ ჯერსი — დეტროიტი	1,6	4,4	2,7
რეინჯერსი — ვაშინგტონი	1,45	4,4	3,2
ფილადელფია — ლოს ანჯელესი	1,2	4,4	5,0
ედმონტონი — სენტ ლუისი	1,9	4,4	2,1
ვანკუვერი — ოტავა	2,0	4,4	2,0
დალასი — კალგარი	1,2	4,4	5,0
სან ხოსე — ჩიკაგო	1,6	4,4	2,7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

100 იუბილარი

ვერდერი
ბრემენი, გერმანია

დაარსდა:
1899 წლის 1 თებერვალს

გერმანიის ჩემპიონი (3): 1965, 1988, 1993
გერმანიის თასის მფლობელი (3): 1961, 1991, 1994
გერმანიის სუპერთასის მფლობელი (3): 1988, 1993, 1994
ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული (1): 1992
კლუბის ფერები: მწვანე და თეთრი
სტადიონი: „ვეზერშტადიონი“. იტევს 35 282 მაყურებელს.
მისამართი: ბრემენი. ვეზერშტადიონ 7
კლუბის პრეზიდენტი: ფრანც ბიომერტი
მთავარი მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ვეზერისპირელები

მაგათი და ტიკუზუ

„100 წლისთავი ისე უნდა აღვნიშნოთ, კლუბს რომ შეეფერება. უნდა შევძლოთ და რეჰაგელის ეპოქა დავაბრუნოთ. ჩვენი გუნდი ამის ღირსია“, — ეს სიტყვები დღევანდელი „ვერდერის“ ფინანსურ მმართველს, მანფრედ ულერს ეკუთვნის. „ვერდერი“ საუკუნოვანი იუბილეს საზეიმოდ შესახვედრად ემზადება, გუნდის შედეგები კი შორსაა იმისგან, რაც მის მესვეურებს და გულშემატკივრებს უნდათ — იგი ბუნდესლიგის ფსკერზე დამჯდარა.

რეჰაგელის წასვლის შემდეგ, 1995 წლის ივნისიდან, კლუბში ოთხი მწვრთნელი შეიცვალა. კლუბის პრეზიდენტი დოქტორ ფრანც ბიომერტი თავდაჭერილი და საქმიანი კაცი ყოფილა. 64 წლის ბიომერტი 28 წელიწადია, კლუბს მართავს. მას მწვრთნელების შეცვლა მაინცდამაინც არ ჰყვარებია, მაგრამ თუ შედეგი არ ჩანს, იძულებულია, ეს ნაბიჯი გადადგას. ასე იყო ამ ორი თვის წინათაც. ბიომერტმა თავის კაბინეტში დაიბარა მწვრთნელი ვოლფგანგ სიდკა. მათ სამი საათი პირისპირ ილაპარაკეს და კაბინეტიდან ორივე მომღიმარი გამოვიდა. მოსახდენი მოხდა, სიდკა გაათავისუფლეს და მწვრთნელთა საბჭოში გადაიყვანეს. მის მაგიერ „ჰამბურგისა“ და გფრ-ის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 45 წლის ფელიქს მაგათი დანიშნეს. სიდკას მოხსნის მიზეზი მოთამაშეებთან მისი უთანხმოება ყოფილა. ამაზე მაგათიც წუხს: „ვცდილობ, გუნდის წევრებთან მეგობრული ურთიერთობა დავამყარო და მხარში ამოვუდგე. იმავეს მოვითხოვ მათგანაც. ფეხბურთელები დღეში სამ საათს მუშაობენ, სანაცვლოდ კი მილიონებს იღებენ. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი თანხაა. როცა ამდენს გიხდიან, უნდა ღირდე. ფულმა ისინი გაათამამა“.

სიდკამ გუნდი ვერ ააღორძინა, მაგრამ როგორც გერმანელი ჟურნალისტები მიიჩნევენ, ეს მხოლოდ მწვრთნელის ბრალი არაა. წლევანდელი სეზონის წინ გუნდი ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა: ოლივერ რეკმა, ჰეიმო ჰფაიფენბერგერმა, ბრუნო ლაბადიამ და ჰანი რამზიმ დატოვა. რამზის წასვლამ განსაკუთრებით დააფიქრა „ვერდერის“ მესვეურები. ის რეჰაგელმა თავის „კაიზერსლაუტერნში“ გადაიყვანა და „მწვანეებს“ 2,3 მილიონი მარკაც გადაუხადა, მაგრამ ფული ხომ ყოველთვის ყველაფერს არ ნიშნავს. ამას დაემატა ნორვეგიელ მეგოლესთან, ჰავარდ ფლოსთან განშორებაც, რომელიც რამდენიმე დღის წინ გადაბარგდა ინგლისის „ვულვერჰემპტონში“.

დალაგებული სიტუაცია არც კლუბის დირექტორატშია. რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ რიგდებოდნენ ბიომერტი და მენეჯერი ვილი ლემკე, რომელიც ადრე ფიზკულტურის მასწავლებელი ყოფილა და მეჩვიდმეტე წელია, ბრემენში მუშაობს. ბოლოს ორივეს რაღაც-რაღაცეები დაუთმიათ და შუღლიც ამით გასრულებულა.

ახლა მაგათს ავსტრიელი ჰერცოგისა და უკრაინელი მაქსიმოვის იმედი აქვს. ამათ ზურგს ორი გამოცდილი ევროპის ჩემპიონი, 29 წლის მარკო ბოდე და 35 წლის დიტერ აილტსი უმაგრებს. მაგათს რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშისთვისაც დაუდგამს თვალი. მათ შორის საინტერესო გვარსახელის მქონე, 17 წლის რასუნდარა ტიკუზუ გამოირჩევა. ის ჯერ ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ მაგათი მას „ვერდერის“ მთავარ იმედს უწოდებს.

ბიომერტს ბევრი იდეა აქვს. მას გადაუწყვეტია, „ვერდერი“ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის კლუბის სტრუქტურას, მანვე მაგათის დასახმარებლად მწვრთნელთა საბჭო ჩამოაყალიბა, რომელშიც გუნდის ყოფილი მოთამაშეები: სიდკა, ბურდენსკი, შაფი და ნოიბარტი გაერთიანდნენ.

თექვსმეტნი კუნძულიდან

ეს ყველაფერი დღეს, მაგრამ რა იყო ასი წლის წინათ? ასი წლის წინათ ის იყო, რომ თექვსმეტმა ბრემენელმა ბიჭმა, რომლებიც მდინარე ვეზერის პატარა კუნძულზე ბურთაობდნენ, საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. იმ კუნძულს ძველგერმანულად ვერდერი ერქვა და ყმაწვილებმაც გუნდს მისი სახელი დაარქვეს. იმავე წლის შემოდგომაზე პირველი ოფიციალური მატჩიც გამართეს. „და არავინ უწყის შედეგი, რამეთუ ოდენ 18 მოსიერე უმზერდა სანახაობას პატარა სტადიონზე“ — აი, ასე გადმოგვცა ბრემენელმა მეისტორიემ „ვერდერის“ ფეხისადგმა.

სხვა წყაროს ცნობით, ის მატჩი მოულოდნელობა მოხდა. ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელსაც სათვალავში არავინ აგდებდა. იგი ბრემენის „ვერდერი“ გახლდათ. მწვრთნელმა ვილი მულტჰაუპტმა, იმავე „ჯენტლმენმა“, თავისი ტაქტიკური სქემა სამ ფეხბურთელზე — ჰანს-დიტერ ჰიოტგესზე, ზეპ პინტუკსა (შემდეგ დანიის დიდი გუნდის მწვრთნელი) და მაქს ლორენცზე ააგო. გუნდის საუკეთესო მოთამაშე კი ჰიოტგესი იყო. მან მინდვრის მოთამაშეებიდან კლუბის ისტორიაში ყველაზე ბევრი, 420 მატჩი ითამაშა ბუნდესლიგაში (მასზე მეტი მხოლოდ მეკარე ბურდენსკიმ შეძლო — 444). გფრ-ის ნაკრებშიც სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა. 1974 წელს კი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. მის გარდა „ვერდერს“ კიდევ მსოფლიოს ორი ჩემპიონი — კარლ-ჰაინც რიდლე და გიუნტერ ჰერმანი (ორივე 1990 წელს) ჰყავს, თუ არ ჩავთვლით რუდი ფიოლერს, რომელიც ამ დროისთვის „მარსელში“ თამაშობდა.

„მეფე ოტო“ და თბილისის „დინამო“

1981 წლის აპრილში „ვერდერის“ მთავარ მწვრთნელად ოტო რეჰაგელი დანიშნეს. „მეფე ოტომ“ დაულაგებელი და გადაბერებული გუნდი ჩაიბარა. ამ პოსტზე 14 წლის განმავლობაში იმუშავა (ბუნდესლიგის რეკორდი) და სწორედ ეს პერიოდია ყველაზე ნაყოფიერი კლუბის ისტორიაში. მოსვლისთანავე რეჰაგელმა „მიუნხენ 1860“-დან ორი ფორვარდი მიიწვია — ვოლფგანგ სიდკა და რუდი ფიოლერი. ეს უკანასკნელი შემდეგ გუნდისა და იმ პერიოდის გერმანული ფეხბურთის მთავარი მეგოლე გახდა. კლუბის ისტორიაშიც ფრანკ ნოიბარტთან ერთად ყველაზე მეტი, 97 ბურთი გაიტანა: „თუ რუდი მინდორზეა, ჩათვალეთ, რომ საქმე კარგადაა“, — ხშირად უთქვამს რეჰაგელს. საშუალო „ვერდერი“ რამდენიმე წელიწადში ევროპული კლასის გუნდად ჩამოყალიბდა. 1983-ში, როცა „ვერდერმა“ ბუნდესლიგის ვერცხლის მედლები მოიგო, მთელი ბრემენი ზეიმობდა. ქუჩებში მუსიკა უკრავდა, ქალაქის საბჭოში დიდებული მიღება გაიმართა. მომდევნო წელს გუნდი კვლავ მეორე იყო. ამჯერად ქალაქი დუმდა, მეორე ადგილი ქომაგებს აღარ აკმაყოფილებდა. რეჰაგელს კი „ოტო მეორე“ შეარქვეს. მიმომხილველები ალაპარკდნენ, გუნდის აღმასვლა შემთხვევითი იყო, მალე „გადაიწვებიანო“, მაგრამ პირიქით კი მოხდა, 1988-ში ბრემენი მაინც მოესწრო თავისიანების ტრიუმფს. და ეს მაშინ, როცა „ვერდერს“ აღარ ჰყავდა სამი წამყვანი ფეხბურთელი. ფიოლერი „რომაში“ გადავიდა, ავსტრიელი მცველი პეცაი შინ, „ტიროლში“, დაბრუნდა, ვეტერანმა მეკარე ბურდენსკიმ კარიერა დაამთავრა. „მწვანეებმა“ მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარეს და დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გახდნენ ჩემპიონები. რეჰაგელს „პირველი“ და „მეფე“ უწოდეს.

1995 წელი. ბრემენი „მეფე ოტოს“ აციოლებს

ტრიუმფამდე ნახევარი წლით ადრე კი, 1997-ის ნოემბერში, უეფას თასის მერვედფინალში „ვერდერი“ თბილისის „დინამოს“ შეხვდა. ქომაგებს კარგად ეხსომებათ მაშინდელი ამბები: „ვერდერი“ — ბუნდესლიგის ლიდერი და წინა ეტაპზე მოსკოვის „სპარტაკის“ გამანადგურებელი. „დინამო“ — დაუძლურებული. გუნდი, რომელიც ძლივს გადაურჩა სსრკ-ის უმაღლესი ლიგიდან გავარდნას და ჩემპიონატში 40 ბურთი გაუშვა. მასზე მეტი მხოლოდ „არარატს“ ჰქონდა მიღებული (45). პირველი თამაში 5 ნოემბერს „ვეზერშტადიონზე“ გაიმართა. ბრემენელების მაღალი ფორვარდების გადამკიდე, დინამოელები საჰაერო შეტევებს ელოდნენ, მაგრამ რეჰაგელი ეშმაკი კაცია და თავისიანებს „ქვემოდან“ თამაში დაავალა. უკვე მე-18 წუთზე მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ (ბურთები ნოიბარტმა და რიდლემ გაიტანეს). თითქოს „სპარტაკის“ ისტორია მეორდება, მაგრამ უცებ „დინამო“ გონს მოეგო, თამაში დაალაგა და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, იქნებ მოეგო კიდეც. აბა, გაიხსენეთ: მე-20 წუთზე გაბელიამ ბურთი თამაშში შეიყვანა, ცენტრში გურული ყველაზე მაღლა ახტა და თავით ბურთი საჯარიმოსკენ ჩაჰკიდა. იქ მასპინძელთა მცველების უთანხმოებით შენგელიამ ისარგებლა, ორივეს დაასწრო და ბურთი კარის ბადეში გადაგზავნა. მეორე ნახევარში დინამოელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. ჯერ ჩივაძის დარტყმული მოხვდა ხარიხას, მერე შენგელია გავიდა მეკარესთან პირისპირ და რომ არა ოლივერ რეკის ფანტასტიკური თამაში, ანგარიში გათანაბრდებოდა. ამას იმავე შენგელიას, ცვებიასა და ქეცბაიას აქტიურობა მოჰყვა. „ვერდერმა“ 2:1 გამოჰგლიჯა თბილისელებს.

ორი კვირის თავზე „დინამოს“ სტადიონზე ტევა არ იყო. ბილეთები რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა, სალაროებთან კი მაინც რიგები იდგა. მახსოვს, ერთი ჩემი მეგობარი რაიკომში მუშაობდა და რის ვაი-ვაგლახით მიშოვა ორი ბილეთი.

„დინამოსათვის“ ჩემპიონატი დამთავრებული იყო და სპარინგ-პარტნიორებად გორის „ლილა“ და ბათუმის „დინამო“ აირჩია. „ვერდერმა“ კი თბილისში ჩამოსვლამდე „კარლსრუეს“ მოუგო 2:0. ორივე ბურთი ნოიბარტმა გაიტანა, მაგრამ ტრავმაც მიიღო და თბილისში აღარ უთამაშია. „დინამო“ ამჯერადაც მედგრად დაუდგა მეტოქეს. 31-ე წუთზე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა თენგიზ სულაქველიძემ ულამაზესი ბურთი გაიტანა. „ვერდერი“ დაიბნა და... ჯერ გურულმა მოარტყა ძელს, მერე შენგელიას ცოტა დააკლდა მეორე გოლამდე. შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა იძალეს. შაფმა გაათანაბრა კიდეც. თბილისელები კიდევ ეცადნენ, მაგრამ 1:1 და მეოთხედფინალში ბრემენელები გავიდნენ. ნამატჩევს რეჰაგელი სიხარულისგან ცქმუტავდა. ფეხბურთელებმა მინდორზე ერთი ხვევნა-კოცნა გამართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სათადარიგო მეკარე ბუნრდენსკი საკაცით გაიყვანეს... გახარებული კაცი სათადარიგოთა სკამებთან გამართულ პლასტმასის საცავს მიასკდა და ცხვირი გაიტეხა. რეჰაგელი ენამზეობდა: „ველოდი, რომ თბილისში ძნელი მატჩი გველოდა. ასეც მოხდა. საბედნიეროდ, ფეხბურთელებმა მითითებები კარგად შეასრულეს. ყველანი ბედნიერები ვართ“. ორი წლის შემდეგ „ვერდერი“ კვლავ ესტუმრა

1987 წელი. დინამო — ვერდერი 1:1. გერმანელებმა დინამოელთა დაცვას თბილისშიც ბევრი თავსატეხი გაუჩინეს

ჰანს დიტერ ჰიოტგესი

სოლომონ გულისაშვილი

სარგბილის არქივიდან

საქართველოს ჩემპიონატი 11 ტური

ანონსი

30 იანვარი. ვერის ბაღი. 14 საათი

ასკ — დინამო

არმიული კლუბი დღეს მეორედ (!) ითამაშებს მერვე ჩემპიონატში. მათი დებიუტი წინა ტურში „ვითასთან“ არცთუ წარმატებული გამოდგა, მაგრამ ახალშექმნილი გუნდის კვალობაზე ურიგო შთაბეჭდილება სულაც არ დაუტოვებია. პირიქით, საკმაოდ გამართულად ითამაშეს და მრისხანე „ვითას“ კარგა ხანს სდიეს კიდეც. მართალია, საბოლოოდ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, მაგრამ ეს, ალბათ, უფრო შეუთამაშებლობის და გამოუცდელობის ბრალია და სათამაშო პრაქტიკის შეძენასთან ერთად ასკ უფრო მეტად დაიხვეწება, რაც, ბუნებრივია, შედეგსაც დაეტყობა.

„დინამომ“ მეორე წრე რიხით დაიწყო. „შევარდენს“ პირველი წრის მსგავსად, ახლაც საკმაოდ იოლად გაუსწორდა და ამით სამმატჩიანი დამარცხებათა სერიაც შეწყვიტა. ამ გუნდის უმთავრეს კოზირად კვლავაც სწრაფი თამაში რჩება. ასეთი ტაქტიკის მეტოქეთათვის თავს მოხვევა დინამოელებს ახლა უფრო მეტად გაუადვილდებათ, რადგან საახალწლო არდადეგებზე ჩინებული შევსება მიიღეს ირაკლი ხოშტარიას, ვალერი კილაძისა და ვანო აბულაძის სახით, რომელთა სათამაშო კონდიციები მსგავს ტაქტიკას დიახაც რომ წაადგება.

მოსეშვილის გუნდს არც აქამდე აკლდა შემსრულებლები: წიკლაური, ნიკოლაძე, შანიძე — აი, ვინ განაპირობებენ „დინამოს“ წარმატებებს. თუმცა მოსეშვილმა წინა ტურში შანიძე და კილაძე საერთოდ არ გამოიყვანა მოედანზე, რადგან „შევარდენთან“ ამის საჭიროება ნამდვილად არ ყოფილა.

ასკ-ს ყველაზე მეტად ცენტრის პოზიციაზე უჭირს. ამ ადგილზე მათ ნუცუბიძის ეიმედებათ, რომელიც მართალია ჭკვიანურად ირჯება, მაგრამ საეჭვოა, კილაძე-ნინიაშვილის ზეწოლას გაუძლოს. ნუცუბიძესთან ერთად მისებრ ყოფილი შევარდენელი დავით აკოლაშვილიც გამოირჩევა, რომლის სამიანებიც ხშირად მიზანსაც აღწევს და თუ „დინამო“ ამ მატჩში გამარჯვებას გეგმავს, თავდაპირველად ამ ბიჭების გაუვნებელყოფა მართებს.

დაბოლოს, „დინამოს“ ჰყავს ირაკლი ხოშტარია, რომელმაც პირველივე თამაშში (რაც დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნდა) დაამტკიცა, რომ ძლიერი კალათბურთელია. სალდათები ყველაზე მეტად სწორედ მას უნდა უფრთხოდნენ.

გიორგი გიკაშვილი

30 იანვარი. ვერის ბაღი. 16 საათი

ვითა — შევარდენი

ამ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი ნამდვილად არ გახლავთ. ექვსგზის ჩემპიონმა „ვითამ“ წინა მატჩი არმიელების წინააღმდეგ კარგად და გააზრებულად ჩაატარა. მთელი თამაშის მანძილზე ლიდერობდა და გაიმარჯვა კიდეც. „შევარდენი“ კი ერთიორად დაუძლურდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდი დავით აკოლაშვილმა და ბექა ნუცუბიძემ დატოვეს — ისინი ასკ-ში გადაბარგდნენ. აქედან გამომდინარე, გამოცდილ ვითელებთან შებმა შევარდენებს უეჭველად გაუძნელდებათ. „ვითა“ კი ნელ-ნელა ფორმაში შედის და იმედია, ჩემპიონი თამაშის ხარისხს კიდევ უფრო გაუმჯობესებს. „შევარდენი“ ახალგაზრდა ბიჭებით არის დაკომპლექტებული და დავითულიანის, კორძაძის, ორმოცაძის, აბრამიძის წინააღმდეგ თამაში მათთვის ძნელი საქმე იქნება, თუმცა „შევარდენმა“ ჩემპიონატის მსვლელობისას არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ ბრძოლა ნებისმიერთან ძალუძს, მათ ხომ რამდენიმე შეხვედრა თავისზე ძლიერ გუნდებთან მცირე ანგარიშით დათმეს. იმედია, ახლაც ასე იქნება. ახალგაზრდების გვერდით გია კაზანჯიანი და კახა მაჭავარიანი თამაშობენ, რომელთაც სამიანების ზუსტი შესრულება არავისზე ნაკლებად შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, მაინც ყურადღება მართებთ ვითელებს, თანაც მათთვის ყველა მოგებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, „ვითა“ ლიდერთა შორის მოხვედრისთვის იბრძოლებს და „შევარდენის“ დამარცხების შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ წრეში შევარდენმა „ვითას“ ორი ქულა „დასტყუეს“, როდესაც ამ უკანასკნელთ თურქული შეერებიდან ჩამოსვლა დაუგვიანდათ და ფედერაციამაც დებულების მიხედვით იმოქმედა. ასე რომ, „ვითას“ რევანშიც სწყურია.

ზურაბ გონაშვილი

30 იანვარი. ვერის ბაღი. 18 საათი

კოლხა — სტუ

აქ ფავორიტად უდავოდ სტუ ითვლება. ამიტომაც სჯობს, ჯერ მასზე მოგახსენოთ. ბოლო ხანებში გუნდს უიღბლობა შემოეჭვია. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ მეცხრე ტურამდე რიხით მოსულთა ზედიზედ ორი მარცხი. თუ პირველი წრის ბოლოს „აზოტთან“ წაგებისთვის სტუდენტებს არავინ დაძრახავდა, მეორე წრის დასაწყისში სდასუ-სთან დამარცხება მათი გულშემატკივრებისთვის მტკივნეული აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთ კი არც გაემტყუნებათ — გამარჯვებით განებივრებულნი მხოლოდ მოგებას ითხოვენ.

ისე, ერთიცაა — სატურნირო ცხრილსაც თუ გადავხედავთ, თვალში უმალ სტუდენტებთან სხვათა საეჭვოდ დაახლოება მოგვხვდება. აქამდე მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრებულ სტუ-ს ამას ვერავინ შემოჰბედავდა. მდევარნი მის დაკნინებას მხოლოდ გულში თუ გაივლებდნენ.

და მაინც სტუ-ს თავკაცები გაცდილ წაგებებს ტრაგედიად არ აღიქვამენ. ალბათ, მართალნიც არიან. თამაზ ოქრუაშვილს თავში ხელის საცემი მართლაც რომ არაფერი აქვს — ჩავარდნა ყველა კლუბის თანამგზავრია. მისი მუშაობა გუნდს საკმაოდ ეტყობა, ამას აქამდეც ვუქებდით. ვერც მოთამაშეებს დავუწუნებთ გარჯას: მოედანზე მუდამ დამრიგებლის ნაბრძანების ასრულებას ცდილობენ. ასე რომ, კლუბმა და მისმა ფანებმა იმედი არ უნდა დაკარგონ.

სტუ დღესვე შეეცდება ყველაფრის დალაგებას და ჯავრს სოხუმელებზე იყრის. თუმცა იოლ გასეირნებას „კოლხა“ არ დანებებს. ალბათ, გეხსომებათ მათი პირველი შეტოქება. ფავორიტად მაშინაც სტუ იყო მიჩნეული, მაგრამ „კერკეტ კაკლად“ შერაცხულმა ახალგაზრდა კოლხებმა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. თუმცა ეს წარსულს ჩაბარდა. სეზონის განახლების შემდეგ „კოლხა“ უფერულად გამოიყურება და ძველებურად ბრჭყალებსაც ველარ აჩენს. თუმცა მოვლენებს წინ ნუ გაუსწრებთ, ბედი ვის რას უქადის, მოედანზე გამოჩნდება.

მამუკა ტოლუში

31 იანვარი. ვერის ბაღი. 14 საათი

სდასუ — თსუ

სტუდენტური დაპირისპირება უდაოდ ცენტრალურად უნდა მივიჩნიოთ მეთერთმეტე ტურში. სტუ-სთან გამარჯვებით ფრთაშესხმული სდასუ ახლა თსუ-ს შეებმება, რომელმაც თავის მხრივ „მაკაბი“ დაამწუხრა წინა ტურში. ვერ ვიტყვით, თსუელებმა წარმატებას იოლად მიაღწიესო, ამისათვის გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ და ტაიმნახევრიანი თანაბარჭიდილის შემდეგ ბოლოსღა გატეხეს მეტოქე.

სდასუ-მ კი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა წლევანდელ გათამაშებაში. ჩემპიონატის მეორეადგილოსან სტუ-ს მეტად საჭირო ქულები წაჰგვარა, რითაც დაამტკიცა, რომ პირველი წრის წარუმატებლობები უკვე წარსულს ჩაბარდა.

აშკარაა, რომ სდასუელებს საახალწლო არდადეგებზე მუხლი არ ჩაუხრიათ. ეს არა მარტო კალათბურთელთა ფიზიკურ კონდიციებს ემჩნევა, არამედ გუნდის ტაქტიკურ განსწავლულობასაც. კანდელაკის შეგირდებმა კომბინაციური თამაშით დაგვამახსოვრეს თავი და თუ მომავალშიც ასე განაგრძეს, აუცილებლად ლიდერთა შორის დამკვიდრდებიან.

თსუ „მაკაბისთან“ არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რაც ნიკა ცქიტიშვილის სტუ-ში გადაბარგებით აიხსნება. ეს უკანასკნელი ამ გუნდს ფასდაუდებელ სამუშაოს უწევდა და უმისოდ დარჩენილებს ფარის მისადგომებთან ძალიან გაუჭირდებათ. ცენტრზე, მართალია, გამოცდილი არჩილ ხელაშვილი იღვწის, მაგრამ მაინც ეულად გამოიყურება და თანაც სდასუ-ს ამ პოზიციაზე ერთბაშად ოთხი თანაბარძალოვანი მოთამაშე ჰყავს — მაჭარაძე, ხარაძე, ქევხიშვილი და გიგაშვილი.

წარმატებას მნიშვნელოვანწილად გუნდების უკანახაზელები განაპირობებენ. თსუელ გამთამაშებელ ნიკა ვეფხვაძეს ზურგს გოჩა წოწელია უმაგრებს, რომელსაც ბომბარდირული თვისებებიც გამოარჩევს. სახიფათოა ოდისეი დმიტრიადიც, რომელიც ცქიტიშვილის წასვლის შემდეგ მყარად ჩაჯდა გუნდის ხუთეულში. აი, სდასუელთა უკანახაზი კი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. თორთლაძე — უძილაურის ტანდემი ზედმიწევნით შეხმატკბილებულად ირჯება და უკვე არაერთი შეხვედრის ბედი გადაწყვიტეს თავიანთ სასარგებლოდ.

გამარჯვებულის წინდაწინ დასახელება ძალიან ძნელია. ორი თანაბარძალოვანი გუნდიდან წარმატებას ის მიაღწევს, რომელიც კონკრეტულ მატჩს უკეთ მომზადებული შეხვდება.

დიმიტრი ნიშნიანიძე

30 იანვარი. ვერის ბაღი. 16 საათი

აზოტი — მაკაბი

ამ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევს. მერვე ეროვნულის პირველი წრე ისე მიილია, რუსთაველთა მძლეველი არავინ გამოჩენილა. ეგ კი არა, „აზოტი“ უმეტეს შემთხვევაში მოგებას (თითო-ოროლა მატჩის გარდა) იოლად აღწევდა. თუმცა, რატომ „აღწევდა“? ახლაც ასე გრძელდება და ჯერჯერობითაც ისეთი, რუსთაველებს ოფლი ღვარად ადინოს და მოედანი ილაჯგაწყვეტილებს დაატოვებინოს, ვერავინ ვიხილეთ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „ვითა“ დაბრუნდა, „დინამოც“ მოძლიერდა, სდასუ-ც აღმავლობის გზას დაადგა და აწი იქნებ შეძლოს კიდეც ვინმემ აქამდე შეუძლებელი... ეს მომავლის საქმეა და დაველოდოთ იმ დროს როცა რუსთაველები მთელი ძალით შეერკინებიან მეტოქეებს. მანამდე კი დავუბრუნდეთ მატჩს, რომელშიც თავდაჯერებულ ლიდერს „მაკაბი“ ნაღდად ვერ შეეცილება.

მავანი იფიქრებს, ასეთი იმედის გადაწურვა მეტისმეტიაო. მაგრამ საქმეში ჩახედულნი არ გაგვამტყუნებენ. არც თავად მაკაბელებს უნდა ეტყობოდეთ დიდი ოპტიმიზმი. ამის თავიდათავი „სენი“ გამხდარა. ალბათ იმასაც იკითხავთ გუნდს ისეთი რა სენი უნდა შეეყაროს, რომ მწვრთნელმა ვერ უექიმოსო. მაგრამ მხეიძისთვის და კლუბის სხვა მესვეურთათვის მართლაც ლამის უკურნებელ დაავადებად ქცეულა ერთი პრობლემა — ერთობ მოკლე სათადარიგო სკამი. შეიძლება ითქვას, რა ხუთეულითაც იწყებს მატჩს „მაკაბი“, იმავე შემადგენლობით ამთავრებს. სასტარტო ხუთეული იღლება და შეხვედრის ბოლომდე ძალა არ ჰყოფნის. სათადარიგოთა სკამზე მაკაბელთა თავკაცობას სამოდე კაცი თუ ეგულება. ნუ გვიწყენენ ისინი, მაგრამ ძირითადთა ღირსეული შეცვლა ჯერ არ ხელეწიფებათ. გუნდს სასწრაფოდ სჭირდება მაღალი კლასის მოთამაშეთა შემატება, თორემ სატურნირო ცხრილში ზემოთ ანაცვლება შეუძლებელია.

რაც შეეხება „აზოტთან“ შეხვედრას, „ერთი მუჭა“ მაკაბელები, როგორც ყოველთვის, ჯიგრიანად ითამაშებენ, მაგრამ ამით შორს წასვლა ფუჭ ოცნებად გვესახება.

აჩიკო გელაშვილი

პირველ წრეში სდასუ-ს ჩხეიძე (ბურთით) ჰყავდა, თსუ-ს კი ცქიტიშვილი. პირველი რუსეთში წავიდა, მეორე — სტუ-ში

როდმანი გუნდს ფლორიდაში ეძებს



დენის როდმანი ლაზღანდარობას გუნდის ძებნისასაც არ იშლის

რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ცუდმა ბიჭმა დენის როდმანმა კალათბურთი მიატოვა, მაგრამ სულ ერთი დღით და ახლა ისევ ნბა-შია. თუმცა როდმანმა ძველ ჩემპიონ, მაგრამ დაუძლურებულ „ჩიკაგო ბულზს“ ზურგი შეაქცია და თავისი ყურადღება სხვა კლუბებს მიაპყრო. მას დიდ ქალაქებში, მაგალითად ნიუ იორკში სურდა თამაში, მაგრამ შემდეგ გულმა მზიანი ფლორიდისკენ გაუწია და იქაურ კლუბებს „მაიამი ჰითსა“ და „ორლანდო მეჯიქს“ აუტალახა კარი.

თავდაპირველად როდმანმა დიდი მწვრთნელის პატ რაილის „მაიამის“ მიაკითხა. იქ მას ასეთი პირობა წაუყენეს — გუნდში იმ შემთხვევაში მიგიღებთ, თუ ჩვენს წესებს დაემორჩილებიო. გიჟმაჯი როდმანი კი ძნელად თუ შეეგუებოდა პატ რაილის მკაცრ რეჟიმს. ამასთან საქვეყნოდაა ცნობილი როდმანისა და „მაიამის“ ლიდერის ალონზო მურნინგის დაძაბული ურთიერთობა. ამიტომ მან „ორლანდოს“ მიაშურა, სადაც მთავარ მწვრთნელად ჩაკ დეილი მუშაობს. ეს კაცი კი სწორედ იმ „დეტროიტ პისტონზს“ ედგა სათავეში, რომელმაც როდმანთან ერთად ნბა-ს ორი ჩემპიონობა მოიპოვა 1989 და 1990 წლებში. ვინ-ვინ და ჩაკ დეილიმ მშვენივრად უწყის როდმანის ავანჩავანი და კარგად ესმის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს კალათბურთელი, რომელიც აგრე უკვე შვიდი წელია, ნბა-ს ლიდერია მოხსენებში და ახლოსაც არავის უშვებს.

აქ როდმანის წინაშე ერთმა პრობლემამ იჩინა თავი. „ორლანდოს“ უკვე განაწილებული აქვს ხელფასები და ლიგის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი კანონის თანახმად, არ შეუძლია მას ბევრი ფული შესთავაზოს. თუ როდმანი გუნდში დარჩენას დაყაბულდა, იძულებული იქნება, მხოლოდ ერთ მილიონს დასჯერდეს, ეს მაშინ, როცა ძველ გუნდ „ჩიკაგო ბულზში“ 10 მილიონს იღებდა. თუმცაღა ეს თითქმის გადაწყვეტილია: „თუ ის სადმე ითამაშებს, „ორლანდოში“, ჩაკთან (დეილი) ერთად“ — ამბობს „მაიამის“ დამრიგებელი პატ რაილი. თუ როდმანი თავის ბედს „ორლანდოს“ დაუკავშირებს, ეს იქნება მისი მეოთხე გუნდი კარიერაში „დეტროიტის“, „სან ანტონიოს“ და „ჩიკაგოს“ შემდეგ.

ირაკლი ფირაშვილი

სტეფანია ძირითადში: 12 წუთში 4 ქულა და 6 პერსონალური

პორტლენდი — სიეტლი. საგამოფენო მატჩი

ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსი“ 28 იანვარს პორტლენდს ეწვია და იქაურ „თრეილ ბლეიზერსთან“ საგამოფენო, ჩვენებურად — საკონტროლო მატჩი გამართა. სტეფანიამ თამაში ძირითად ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 12 წუთი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ვოვამ 4 ქულა, 2 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი გააკეთა. სამწუხაროდ, მან 6 პერსონალური მიიღო და თამაში ნაადრევად დატოვა. სტეფანიამ ხუთჯერ ესროლა და ერთხელ ჩაგდო, სამგიეროდ, ორი საჯარიმოდან ორივე ზუსტად შეასრულა. ვოვამ თავდამსხმელის ამპლუაში ითამაშა.

„პორტლენდმა“ მატჩი 108:81 მოიგო. მის შემადგენლობაში 18 ქულით ყველაზე შედეგიანი უოლტ ვილიამსი იყო. დეიმონ სტუდემაიერმა 9 ქულას და 14 პასს მოუყარა თავი, ხოლო არვიდას საბონისმა — 12 ქულას და 11 მოხსნას. გამოირჩა „ბლეიზერსის“ ახალბედა, „დეტროიტისგან“ ნაყიდი ბონზი ველსი — 13 ქულა.

„სიეტლს“ ტრავმის გამო აკლდნენ დეტლეფ შრემპფი და ბილი ოუენსი. სტეფანიას თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი, 14 ქულა ვინ ბეიკერმა გააკეთა, რასაც 8 მოხსნა დაურთო. „სუპერსონიქსი“ ძალიან ცუდად ისროდა — 77-დან 23-ჯერ უწია მიზანს, რაც 30 პროცენტს შეადგენს.

მომდევნო საგამოფენო მატჩს „სიეტლი“ ხვალ გამართავს „ვანკუვერთან“.

ბრაიანტი ნაღდი ლეიკერსელია

კობი ბრაიანტი, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ვარსკვლავი, კვლავ რჩება „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ და იქ შაკილ ონილთან და სხვებთან ერთად ნბა-ს მწვერვალების დაპყრობას შეეცდება. ამისთვის მას და მის გუნდს ყველა წინაპირობა აქვს.

28 იანვარს ბრაიანტმა თავის კლუბს ექვსწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა, რომლის თანახმადაც 70 მილიონს ჩაიჯიბავს. შეგახსენებთ, რომ ასეთივე კონტრაქტები დადეს კობი ბრაიანტის თაობის მოთამაშეებმა ალენ აივერსონმა (ფილადელფიათან) და შარიფ აბდურ რაჰიმმა (ვანკუვერთან). კლუბების ნება რომ ყოფილიყო, ალბათ, მეტსაც გაიღებდნენ, მაგრამ ლოკაუტის შემდეგ დადებულმა შეთანხმებამ ბრაიანტს და სხვებს ამის საშუალება არ მისცა.

კობი ბრაიანტი „ლეიკერსს“ თავის იმედად ესახება და კობისაც არ სურს, თავისი ბედი რომელიმე სხვა კლუბს დაუკავშიროს: „მე ვუყურებდი მეჯიქ ჯონსონის და ჯეიმს უორთის თამაშს და ბავშვობაში ამ გუნდში თამაშზე მხოლოდ ვოცნებობდი. ახლა მე აქ ვთამაშობ და სხვაგან წასვლას არც ვაპირებ“ — ამბობს 20 წლის ამომავალი ვარსკვლავი.

ახლა მთელ ამერიკას ერთი კითხვა აწუხებს, თუ ვინ დაიკავებს კალათბურთისთვის თავმინებებული მაიკლ ჯორდანის ადგილს. თუ ხალხი ვინმესთვის მაიკლის ადგილს იმეტებს, უპირველეს ყოვლისა ეს კობი ბრაიანტია, რომელმაც ნბა-ში გატარებული ორი სეზონის შემდეგ დუნია აალაპარაკა. იგი ლიგაში 1996 წელს მოვიდა, როდესაც დრაფტში „შარლოტის“ საკუთრება გახდა, მაგრამ „ლეიკერსის“ სურვილი დაეთრია ეს 17 წლის სკოლის მოთამაშე იმდენად დიდი იყო, რომ მასში გამოცდილი იუგოსლავიელი ცენტრი ვლადე დივაციც არ დაიშურა და არც წაუგია. განსაკუთრებით გახარებული დარჩა კლუბის გენერალური მენეჯერი, 60-იანი წლების ლეგენდარული კალათბურთელი ჯერი ვესტი, ვინც სწორედ ბრაიანტის ამპლუაში (მსროლელი) თამაშობდა და ერთი შეხედვით მიხვდა, თუ ვინ იყო ეს პირტიტველა ბიჭი.

ბრაიანტმა პირველ სეზონში მოიგო ოლ სტარის ჩატენვების კონკურსი. მეორე სეზონში ანუ გასულ წელს ოლ სტარში ითამაშა და გახდა ყველაზე ახალგაზრდა ლიგის ისტორიაში, ვინც ეს შეძლო. თან ბრაიანტმა ოლ სტარის მატჩი დასავლეთის სასტარტო ხუთეულში დაიწყო და დიადი მაიკლ ჯორდანი გვარიანადაც გააწამა.

ორი აზრი არ არსებობს, რომ მომავალში ბრაიანტი ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ იქცევა და ახალ სეზონში სწორედ მისი „ლეიკერსი“ მიიჩნევა ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად.

ივანე კობიაშვილი

ნბა-ს თავისუფალი აგენტები

ახალი გუნდი	გადავიდნენ გუნდიდან გუნდში	ძველი გუნდი
ჩიკაგო	ბრენტ ბარი	მაიამი
კლივლენდი	ანტონიო ლენგი	მაიამი
ორლანდო	დუგ ოვერტონი	ფილადელფია
სიეტლი	დრიუ ბერი	ატლანტა
ჰიუსტონი	ენტონი მილერი	ატლანტა
მილუოკი	დელ კარი	შარლოტი
საკრამენტო	ვერნონ მაძსველი	შარლოტი
მილუოკი	დონალდ როიალი	შარლოტი
კლიპერსი	სკოტ ბრუძსი	კლივლენდი
კლივლენდი	ლიტერიალ გრინი	მილუოკი
დალასი	გერი ტრენტი	ტორონტო
ბოსტონი	ერიკ რაილი	დალასი
ნიუ იორკი	კურტ თომასი	დალასი
კლივლენდი	ჯონი ნიუმენი	დენვერი
სიეტლი	რეჯი გირი	სან ანტონიო
დენვერი	მონტი ვილიამსი	სან ანტონიო
ჰიუსტონი	ანტუან კარი	იუტა
მაიამი	კლარენს ვეზერსპუნი	გოლდენ სტეიტი
საკრამენტო	ჯონ ბერი	ლეიკერსი
დენვერი	ლორენ მეიერი	ფინიქსი
ნიუ იორკი	დენის სკოტი	ფინიქსი
პორტლენდი	გრეგ ენტონი	სიეტლი
სიეტლი	ბილი ოუენსი	საკრამენტო

დარჩნენ ძველ გუნდებში

მაიკლ კონლონი	მაიამი	სტივ ჰენსონი	დეტროიტი
მარკ სტრიკლენდი	მაიამი	ელვინ ვილიამსი	ტორონტო
ბენ დევისი	ნიუ იორკი	სედრიკ სებალოსი	დალასი
ჰერბ ვილიამსი	ნიუ იორკი	ჯეისონ კიფი	გოლდენ სტეიტი
ჯერალდ ვილკინსი	ორლანდო	რიკ ფოქსი	ლეიკერსი
ბენუა ბენჯამინი	ფილადელფია	რექს ჩეპმენი	ფინიქსი
ბენ უოლესი	ვაშინგტონი	მარკო მილიჩი	ფინიქსი
ტაირონ კორბინი	ატლანტა	ჰორაციო ლიამასი	ფინიქსი
ალან ჰენდერსონი	ატლანტა	კლიფ რობინსონი	ფინიქსი
ტრევის ვილიამსი	შარლოტი	არვიდას საბონისი	პორტლენდი
რასტი ლარუ	ჩიკაგო	დეიმონ სტუდემაიერი	პორტლენდი
დიკი სიმპკინსი	ჩიკაგო	ჯეიმს კოტონი	სიეტლი



REUTERS ნიკადან

ფრანგთა მწვრთნელი ჟან კლოდ სკრელა შეგირდებს იტალიასთან საბრძოლველად ამზადებს

დუბლინში იტალიის გავლით

ერთი კვირაღა დარჩა ხუთი ერის პირველობის დაწყებამდე, რომლის პირველ ტურში ერთმანეთს ირლანდია — საფრანგეთი და უელსი — შოტლანდია ხვდებიან. „მამალთა“ მწვრთნელმა უკვე გაამხილა შემადგენლობა, რომელიც ირლანდიელებს დაუპირისპირდება, მის ირლანდიელ კოლეგა უორენ გეტლანდს კი ჯერჯერობით საბოლოო არჩევანი არ გაუკეთებია. გეტლანდის განკარგულებაში ამჟამად 23 მორაგბეა, რომელთაგან ერთს, ზედმეტს, მწვრთნელი ორშაბათს დაასახელებს. ესენი არიან მორკინალები: ოკუინიგენი, მილერი, უორდი, კოსტელო, ჯონსი, ოკელი, დავიდსონი, ვუდი, ნესდეილი, უოლესი, კლოჰესი, ფიცპატრიკი, კორიგანი.

უკანახაზელები: ოში, დემფსი, ბიშოპი, ბელი, მეგსი, ჰენდერსონი, ელვუდი, ჰამპრისი, მაკგინესი, სკელი.

ირლანდიელები სამშობლოში ემზადებიან, ფრანგები კი დღეს იტალიელებს გაეჯიბრებიან ამხანაგურად. იტალიელი მორაგბის ივან ფრანჩესკატოს სიკვდილის გამო მატჩის გამართვა საეჭვო იყო, მაგრამ იტალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მაინც ჩატარებინა შეხვედრა და მისი შემოსავლის ნახევარი დაღუპულის ოჯახისთვის გადაეცა. ამის შემდეგ „მამლები“ საფრანგეთში დაბრუნდებიან და ირლანდიელთა დარად, სამშობლოში გაგრძელებენ მზადებას, დუბლინს კი მატჩამდე ერთი დღით ადრე ეწვევიან.

დაგჩაგრეს, ლომუ?

სამი დღის წინ ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ჰართმა საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახებულ მორაგბეთა შორის ჯონა ლომუ რომ არ დაასახელა. მობურთალს მწვრთნელის სასაყვედურო არაფერი დასცდენია — მას როგორც მიაჩნია, ისე იქცევაო, მაგრამ გუშინ ყველაფერი შეიცვალა. ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯონამ ასეთი რამ განაცხადა: „წელიწადის ამ დროს ამაზე უკეთეს ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ და სწორედ ახლა არ მიხმობენ ნაკრებში. მე მგონი, მწვრთნელი, უბრალოდ, მიზეზს ეძებდა, მე რომ არ მივეწვიე. მართალია, ფიზიკური მომზადების ტესტებში ჩავიჭერი, მაგრამ ჩემს ადგილზე ნებისმიერი ჩემს ხვედრს გაიზიარებდა, რადგან, იმის შესრულება, რაც მწვრთნელმა დაგვავალა, შეუძლებელი იყო“.

და მაინც, რა ტესტი იყო ასეთი, ნებისმიერი რომ ჩაიჭრებოდა? როგორც ირკვევა 3 კილომეტრის გარბენს მობურთალი თურმე განსაზღვრულ დროზე ნახევარი წუთით მეტს მოუნდა. გუნდის წევრობის დანარჩენ პრეტენდენტთა შორის ლომუს შედეგი საუკეთესო ყოფილა, მაგრამ მწვრთნელმა იგი მაინც არ მიიწვია ნაკრებში. ჰართმა თავისი საქციელი ასე ახსნა: „ჯონას ამპლუის მოთამაშისათვის ასეთი სისწრაფე საკმარისი არაა. ჩვენს ქვეყანაში არის ორი-სამი მორაგბე, რომლებსაც უკეთესი შედეგის მიღწევა შეუძლიათ, მაგრამ ისინი დღეს მოწვეულები არ მყავდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯონა წარმატებით გაართმევდა თავს დავალებას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და იმ სამი კანდიდატურიდან სასწრაფოდ მომიწევს მისი შემცვლელის არჩევა“.

თითქოს გასაკვირი არაფერია — მწვრთნელმა ნაკრებში ის იხმო, ვინც იმ მომენტისთვის უკეთ იყო მომზადებული, მაგრამ ზელანდიური პრესის ცნობით, ის სამი მობურთალი, რომლებზეც მწვრთნელი საუბრობდა, ლომუზე კარგ ფორმაში არ არიან. აქედან გამომდინარე, გულშემატკივრები ეჭვობენ, რომ მწვრთნელსა და მორაგბეს შორის რაღაც უთანხმოება მოხდა, რამაც განაპირობა ჰართის უარი და მდგომარეობა კიდევ უფრო რომ არ გართულდეს, ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებისაგან შექმნილ სიტუაციაში გარკვევას ითხოვენ.

კაატა თოთაძე



სარბიელის არქივიდან

ლომუსათვის „ოლ ბლექსში“ ადგილი ვერ მოინახა

ევროთასი

ირლანდია ერთიანდება

დღეს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, რაგბში ევროთასის გათამაშების ფინალი ჩატარდება. ერთმანეთს ჩრდილოირლანდიური „ოლსტერი“ და ფრანგული „კოლომიე“ დაუპირისპირდებიან, გუნდები, რომელთა ფინალში გასვლასაც სექტემბრის დასაწყისში ვერავინ წარმოიდგენდა. ვინმე ახირებულს ინგლისელ ბუკმეიკერებთან ათგირვანქიანი სანაძლეო რომ დაედო, ძალიან დიდ ფულს მოიგებდა. ამ მოულოდნელ ფინალს 45 ათასი მაყურებელი დაესწრება და მათ თვალწინ ევროთასის რიგით მეოთხე მფლობელი დაიბადება (წინა სამ გათამაშებაში ფრანგულმა „ტულუზმა“ და „ბრივმა“ და ინგლისურმა „ბათმა“ იმარჯვეს).

ამ 45 ათასი კაციდან უმრავლესობას „ოლსტერის“ წარმატება გაახარებს. საათნახევრის განმავლობაში ორი ირლანდია ერთიანად იქცევა. ჩრდილოელი პროტესტანტები და სამხრეთელი კათოლიკები „ოლსტერის“ მხარეს იქნებიან. თუ მათი გუნდი გაიმარჯვებს, მაშინ ერთმანეთს შორის შუღლს კიდევ კარგა ხნით დაივიწყებენ. აღარავინ ილაპარაკებს კლასობრივ და რელიგიურ უთანხმოებებზე, საზიზღარ ინგლისელებსა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე, ტერორისტულ ორგანიზაცია „ირასა“ და მის მიერ აფეთქებულ ბომბებზე.

„კოლომიეს“ კი „ოლსტერის“ 15 მორაგბის დასამარცხებლად მარტოოდენ კარგი ბურთაობა არ უშველის. ფრანგებმა დროებით შეკავშირებული ირლანდიელების უტეხ სულსა და ნებას უნდა აჯობონ. ეს კი ადვილი საქმე ნაღდად არაა. თუმცა, მათი თქმით, ისინი ამისთვის მზად არიან, ანუ დიად, კაცურ ბრძოლას გვპირდებიან. ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ მატჩი დაძაბულთან ერთად ლამაზიც გამოვა და მაყურებელსაც სიამოვნებას მიანიჭებს.

თუ შეხვედრა ფრედ დამთავრდა, დანიშნება ორი დამატებითი თხუთმეტწუთიანი ტაიმი. თუ გამარჯვებული ამანაც ვერ გამოავლინა, მაშინ ევროთასს ის დაეუფლება, ვისაც ფინალში მეტი ლელო ექნება გატანილი. ბოლოს კი გუნდებს მეოთხედფინალიდან მოყოლებული ყველა ლელოს დაუთვლიან.

ვინ მოიგებს — „კოლომიე“ თუ „ოლსტერი“? ძნელი სათქმელია. ისე კი მთელი ირლანდიის კუნძული უკვე მზად ყოფილა, გამარჯვების სიმღერის სათქმელად.

გაიოზ თალაკვაძე

თუ გამზრდელმა არ უშველა

კაცები. ნახევარფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (10, რუსეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3, 6:4, 7:5

ევგენი კაფელნიკოვმა წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობა ჩოგბურთის ისტორიაში ჩაწერის საეჭვო პრესტიჟს გადაარჩინა. სოჭელი ჟენიას მიერ ტომი ჰაასის დამარცხებამ ვარსკვლავებს დანატრებულ მელბურნს ფინალში ერთი განთესილი მაინც გაუნაღდა.

თუ გერმანელი გაიმარჯვებდა, დიდი სლემის ტურნირის ფინალი, მას შემდეგ, რაც ჩოგბურთი პროფესიონალური გახდა (1968), პირველად ჩაივლიდა განთესილი მოთამაშის გარეშე.

თუმცა არ გეგონოთ, რომ 24 წლის რუსი კვირას გასამართ მატჩში ფავორიტი იქნება — ბუკმეიკერები მეოთხედფინალიდან მოყოლებული გამარჯვების მსოფლიოს 21-ე ჩოგან ტომას ენკვისტს უქადიან და არც სოჭელი ფიქრობს სხვაგვარად: „იმედია, მოგების შანსები მეც მექნება, მაგრამ თავს აშკარად აუტსაიდერად ვთვლი.“

ისე, აუტსაიდერად ჟენია ახალგაზრდა გერმანელთან შეხვედრაშიც კი ითვლებოდა: ჩოგბურთის აკადემიის პატრონს, დიდ მცოდნესა და იმავდროულად ჰაასის გამზრდელ ნიკ ბოლეტიერის ნახევარფინალის წინ განუცხადებია, ახლობლობით არ ვამბობ, მაგრამ ჩემი ყოფილი შეგირდი 4 სეტში იმარჯვებსო.

ეს იქნებ ასეც მომხდარიყო, 1 იანვრიდან თავქეიფა და უჯიგრო რუსს ახალი მწვრთნელი რომ არ დაექირავებინა. ლარი სტეფანკი ის კაცია, რუსისთანები არაერთი რომ მოუთვინიერებია. მაგალითად თუნდ ჩილელი მარსელო რიოსი გამოდგება, რომელმაც ამერიკელის ხელში კლასიფიკაციის პირველ ადგილს უწია, მაგრამ მწვრთნელს ამაგი არ დაუფასა და შარშან აგვისტოში, რუსისთვის საბედნიეროდ, დაითხოვა.

ჰოდა, სწორედ სტეფანკის უმადლის კაფელნიკოვი „ოუფენზე“ წარმატებას და იმ 16 ეისს, მოწოდებაზე სამკვირიანი ვარჯიშის შემდეგ ნახევარფინალში რომ გაახერხა.

გუშინ დილით მელბურნში წვიმდა, ამიტომ მატჩმა 15-ათასიანი სტადიონის თავზე შეკრული მოძრავი სახურავის ქვეშ ჩაიარა, რაც რუსს თავიდან სულაც არ გახარებია: „ამ გადაწყვეტილებამ გული დამწყვიტა, რადგან ტომისთან ერთადერთხელ სწორედ გადახურულში წავაგე.“

თუმცა იმედგაცრუება დიდხანს არ გაგრძელებულა — სოჭელმა მეტოქეს პირველივე მოწოდება იოლად აართვა და 3:0-ითაც დაწინაურდა. პირველმა სეტმა ძირითადად რუსის ეისებსა და ჰაასის შეცდომებში ჩაიარა, სულ რაღაც 28 წუთში.

აი, მეორე ხელი კი განსხვავებულად დაიწყო: აქ მეტოქეს ბრეიკი პირველად 20 წლის გერმანელმა აართვა. ტრიბუნებზე მოკალათებულმა ჰაასის თანამემამულეებმა გვარიანი ჟივილ-ხივილი ატეხეს, მაგრამ მათმა ჯილამ ქომაგობა ვერ შეიშნო — ის კი არა, თავის მხრივ ორჯერ დაკარგა მოწოდება და მეორე სეტიც უკანა ხაზზე მოკალათებულ რუსს გადაულოცა.

ამის მერე ჰაასმა აურაცხელ უნებლიე შეცდომას უკლო და საზრიანად და ზუსტად მოთამაშე მეტოქეს შედარებით მეტი ოფლიც აღვრევინა, მაგრამ ეს იყო და ეს — გამარჯვებასთან მიახლოებული რუსი ამჯერად არ ანერვიულებულა და არც ხუთ სეტად გაუწელავს საათნახევარში დასასრულებელი შეხვედრა.

„მას გამოცდილება აკლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ისწავლის. ისწავლის იმ ქულის ფასს, რომელსაც იმ წუთში ათამაშებს. მაგალითად, რამდენჯერმე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ჩემი აზრით, სულელური დარტყმებით გაუშვა ხელიდან, არადა უმნიშვნელო მომენტებში საოცარი დარტყმები განახორციელა“. — ასე შეაფასა სოჭელმა მეტოქის თამაში.

ბუნებრივია, მანამდე მეიჯორის მესამე წრეს გაუცილებელი ჰაასიც არ ჩანდა გულდაწყვეტილი ნახევარფინალში წაგებით: „საკუთარი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, მეტზე ოცნებაც კი არ შემეძლო. შევეცდები, იგივე ფორმა შევინარჩუნო და მთელი წელი ამ დონეზე ვიასპარეზო.“

ქალების წყვილები. ფინალი: მარტინა ჰინგისი და ანა კურნიკოვა (3, შვეიცარია და რუსეთი) — ნატაშა ზვერევა და ლინდსი დევენპორტი (1, ბელარუსი და აშშ) 7:5, 6:3.

ჩოგბურთის თვითმარქვია „სპაის გელზების“ დუეტმა მელბურნში პირველად ითამაშა ერთად და დებიუტი დიდი სლემის ტიტულითაც აღნიშნა.

მარტინა ჰინგისისგან განსხვავებით, რომელმაც ზედიზედ მეხუთე ბობოლა ტურნირზე და ზედიზედ მესამე ავსტრალიის ღია პირველობაზე (აქამდე ზვერევასა და მირიანა ლუჩიჩთან ერთად) გახდა წყვილების ჩემპიონი, კურნიკოვა სლემის პირველ ფინალში ასპარეზობდა და მუდამ მოღიმარ შვეიცარიელზე გაცილებით მოწადინებული და დაძაბულიც ჩანდა.

ზვერევა — დევენპორტის ჩანაფიქრი თურმე სწორედ 17 წლის რუსზე ზეწოლა გახლდათ, მაგრამ ეს უკანასკნელი ბადესთან თუ შემოვლებაზე შესანიშნავად ირჯებოდა და ერთეულებში ასპარეზობისგან განსხვავებით, ორმაგი შეცდომაც კი სულ ერთი დაუშვა.

საათზე ოდნავ მეტში წაგებული მატჩი იმას ნიშნავდა, რომ ზვერევა — დევენპორტის დუეტმა ჰინგისთან ზედიზედ მეხუთე სლემის ტურნირზე დათმო წყვილების ფინალი. „ასე გაგრძელება არ შეიძლება. მარტინას პროფესიონალ ჩოგბურთელთან ერთად თამაში უნდა ავუკრძალოთ და დედამისს, მელანის შევუწყვილოთ. იქნებ მაშინ მაინც მოვიგოთ“ — დაიწუწუნა დევენპორტმა მატჩის შემდეგ.

ფინალში მოასპარეზეთა პრესკონფერენციებს უსიამოვნების გარეშეც არ ჩაუვლია. ჟურნალისტებმა დევენპორტსა და ჰინგისს ამელი მორესმოს შესახებ შეხედულების დაზუსტება სთხოვეს.

წინა დღეს დაკუნთული და დაუფარავად ლესბოსელი ფრანგი ჩოგბურთელის შესახებ ორივეს წინდაუხედავი რამ ჰქონდა ნათქვამი. დევენპორტმა იქ შეკრებილებს ბრალი დადო, ჩემი სიტყვები კონტექსტიდან ამოიღეთო: „მორესმოსზე რომ ვთქვი, კაცივით თამაშობს-მეთქი, მისი შეურაცხყოფა სულ არ მინდოდა, თქვენ კი იგი გამანაწყენებინეთ.“

თავის მხრივ, გერმანულენოვან პრესკონფერენციაზე ჰინგისს მომავალი მეტოქე „ნახევრად კაცის“ ტიტულით შეუმკია და უკან დახევა მასაც მოუხდა — უბრალოდ, უჩვეულოდ და მძლავრად თამაშობს, მაგრამ მე კორტზე უნდა ვაჯობო და არა მის გარეთ, მეც და, ალბათ, ლინდსიმაც მხოლოდ თამაშის სტილი ვიგულისხმეთო.

კაცების წყვილები. ნახევარფინალი: იონას ბიორკმანი და პატრიკ რაფტერი (5, შვედეთი და ავსტრალია) — ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (2, ავსტრალია) 3:6, 4:6, 6:2, 6:2, 8:6; მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (1, ინდოეთი) — ელის ფერერა და რიკ ლიჩი (4, სამხრეთ აფრიკა და აშშ) 7:5, 6:3, 7:6 (7:6).

დაბოლოს, ვისაც „ევროსპორტის“ არხზე მიუწვდება ხელი, ქალების და კაცების ფინალის ხილვა, შესაბამისად, შაბათს და კვირას, 14 საათსა და 30 წუთზე შეეძლება.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS მელბურნიდან

ანა კურნიკოვა და მარტინა ჰინგისი

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

REUTERS მელბურნიდან

ევგენი კაფელნიკოვი

კაფელნიკოვზე კაპიკსაც არ დავდებდი

როდესაც 1996-ში 22 წლის ევგენი კაფელნიკოვმა როლან გაროსის ტიტული ერთდროულად ერთეულებშიც და წყვილებშიც მოინადირა, რუსს უამრავ სლემის ტურნირის მოგებასა და მსოფლიოს პირველ ჩოგნობას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ამის ნაცვლად სოჭელმა ნელ-ნელა კლასიფიკაციაშიც დაყვინთა და დიდ პირველობებზეც ველარაფრით გამოიჩინა თავი.

ყველაფერი წლევანდელ „ოუფენზე“ შეიცვალა...

— თქვენ ძალიან აზარტული ადამიანის სახელი გაქვთ. რა ფსონს დაუდგენდით საკუთარ თავს ტურნირის დასაწყისში?

— სიმართლე თუ გინდათ, არჩევანი რომ მქონოდა, კაფელნიკოვზე კაპიკსაც არ დავდებდი. ისე ცუდად ვთამაშობდი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასე შორს გავაღწევდი. მაგრამ ყოველთვის მჯეროდა, რომ ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი ტურნირზე პირველი მატჩებია. თუ მათ გადაურჩები, სწრაფად შედიხარ ფორმაში და მეც იგივე დამემართა.

— თუ შეადარებდით ახლანდელ მზადყოფნას იმ დროსთან, როცა როლან გაროსზე გაიმარჯვეთ?

— არა, იმიტომ, რომ ეს სხვა გარემოება, სხვა საფარია, მაგრამ...

— გრძნობები?

— ო, ეს, ალბათ, იგივეა. სლემის ტურნირის ფინალში გასვლა შესანიშნავი გრძნობაა და არც შეიძლება სხვანაირად იყოს. მთავარია, ასეთივე განწყობა-კონცენტრაცია ერთი დღითაც შევინარჩუნო და ფინალიც მოვიგო.

— თქვენი პროგნოზით, ფინალი დიდხანს გაგრძელდება?

— გპირდებით, რომ ხანგრძლივი იქნება, გპირდებით.

— თუ შეგიძლიათ, გვითხარით, რამდენი რამ ისწავლეთ საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში ასპარეზობიდან მოყოლებული ამ სამი წლის მანძილზე?

— რა ვისწავლე?

— ზოგადად, ცხოვრებაში.

— იცით, მე ის ევგენი აღარ ვარ, 22 წლისამ როლან გაროსი რომ მოიგო. აშკარად უფრო გამოცდილი ვარ და არა მარტო კორტზე, არამედ პირად ცხოვრებაშიც. ეს კი მნიშვნელოვანია. ასეთ რამეს აფთიაქში მისვლით და გამოცდილების მოთხოვნით ვერ იყიდი. ცოლ-შვილის ყოლაც ძალიან ცვლის ადამიანს.

— ჯანი კვლავინდებურად შეგრჩათ?

— ალბათ, არა. იცით, ერთ თვეში 25-ის ვხდები. უკვე აღარ შემიძლია — როგორ აგიხსნათ — იგივე ფიზიკური შესაძლებლობები აღარა მაქვს, რაც 4-5 წლის წინ გამაჩნდა. მაშინ შემეძლო, ზედიზედ ორი ხუთსეტიანი მატჩი მეთამაშა. ახლა ვცდილობ, მეტი ენერგია ტურნირის ბოლოსთვის შემოვინახო. წლეულს ყურადღებას დიდ ტურნირებზე — დიდ სლემებსა და სუპერ 9-ებზე გავამახვილებ.

— ევგენი, თქვენი ჩოგნის ფორმის მაისურს ატარებთ, არა?

— დიახ.

— ტანსაცმლის კომპანიასთან კონტრაქტი არა გაქვთ?

— არა, ჯერჯერობით არა, „დიადორასთან“ კონტრაქტი თავად გავწყვიტე.

— რა ხდება, ძალიან დიდ თანხას ითხოვთ თუ არავინ გეხმიანებათ?

— იცით, ამას ბევრი მიზეზი აქვს. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი ის იყო, რომ მინდოდა, თავი დაენებებინათ ჩემთვის. ფირმები ძალიან მაწუხებდნენ, ათასი ვალდებულება მქონდა, აქ უნდა გამოვჩენილიყავი, იქ — არა. მოკლედ, ეს არ მომწონდა და მარტო ყოფნა ვარჩიე. ასე როლან გაროსის დასაწყისიდან გრძელდება.

— ცრუმორწმუნე ხართ?

— კი, ნამდვილად.

— ბორგის მსგავსად წვერს მანამ არ იპარსავთ, სანამ ტურნირი არ დასრულდება?

— შეამჩნიეთ?

— ასეა?

— ჰო, ალბათ.

— კიდევ რა ცრურწმენებს იცავთ ამ ტურნირზე?

— ამ ტურნირზე? ხვალ, ალბათ, გოლფის სათამაშოდ წავალ. სწორედ ამას ვაკეთებ ამ ორი კვირის მანძილზე. როგორც კი თავისუფალი დრო გამიჩნდება, მაშინვე გოლფის მოედანზე გავრბივარ, რათა ჩოგბურთის ცენტრს გავშორდე. ზოგჯერ ამ ატმოსფერომ შეიძლება ჭკუიდან გადაგიყვანოს.

— კაზინოში ყოფნისას ფულს სულ შავზე ჩადიხართ?

— კი მაგრამ, იცით, ეს კვირეები გვარიან თანხად დამიჯდა, ამიტომ ამჟამად ვარჩევ, კაზინოსგან თავი შორს დავიჭირო, დროებით მაინც.

— ევგენი, შარშანდელი „ოუფენის“ ფინალი ნახეთ ტელევიზიით?

— კი, კორდა-რიოსის მატჩს ვუცქირე, ნამდვილად მახსოვს.

— თუ იფიქრებდი რომ 12 თვის შემდეგ აქ აღმოჩნდებოდით?

— არა, არასოდეს მიგრძნია, არასოდეს მიგრძნია. როდესაც დიდი სლემის ტურნირში მონაწილეობ, წინასწარ ვერასოდეს იტყვი, რომ ფინალში გახვალ. რა თქმა უნდა, ეს ბედის საქმეცაა. ტურნირის ფინალში გასასვლელად დიდი იღბალი გჭირდება.

თარგმნა
ავთანდილ სვანიძემ

ᲞᲘᲜᲒᲕᲘᲜᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲚᲐᲚᲔᲡ

29 იანვარი

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 6:0

2:0 2:0 2:0

1:0 ვერენკა 12'45 (4); 2:0 ჰრდინა 15'26 (7); 3:0 იაგრი 21'30 (18); 4:0 მილერი 25'17 (5); 5:0 კოვალიოვი 44'21 (13); 6:0 სტრაკა 45'39 (22)

მატჩის წინ პიტსბურგის სუპერვარსკვლავმა იარომირ იაგრმა გასახდელში პარტნიორებს გადაავლო თვალი, თავიანთი წარუმატებლობა გაიხსენა და თითქოს გამოსავალიც იპოვა... იარომირ იაგრმა, გუნდისგან განსხვავებით ჩინებულად მოთამაშე ჩეხმა (ზედიზედ 13 მატჩია, ქულას აკეთებს) ბოლოდროინდელ ინტერვიუებში თანაგუნდელები გააკრიტიკა, თავგამოდებით არ იბრძვიან, ვერა და ვერ შეიგნეს, რომ ლაპარაკით ვერაფერს გახდებიან, ყინულზე პირადი მაგალითით უნდა გაამხნევონ ერთმანეთიო. ჰოდა, ტორონტოს გაორმაგებული ძალით შეუტია და მატჩის ბედიც ფაქტობრივად მარტომ გადაწყვიტა. წლეულს იგი ასისტენტის შესანიშნავ ნიჭსაც რომ ამჟღავნებს, ამაზე აღარაფერს ვამბობთ (სამი პასით თავისი მარაგი 45-მდე გაზარდა. ეს ლიგაში საუკეთესო შედეგია). მთავარია, იაგრმა გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. მეორე პერიოდში, როცა ანგარიში ჯერ კიდევ 2:0 იყო, ჩეხმა უმცირესობაში ჩინებული გარღვევით მეტოქეთა მეკარე ჯეფ რიზს იოლად გაუტანა და 63 (18+45) ქულით ბომბარდირთა სიასაც გაუძღვა.

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ — ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 2:4

1:2 1:0 0:2

0:1 იანგი 13'06 (9); 1:1 კლეტი 16'53 (4); 1:2 კონრიო 17'15 (7); 2:2 მუკალტი 35'05 (15); 2:3 იანგი 57'48 (10); 2:4 კონრიო 59'22 (8)

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ — ᲩᲘᲙᲐᲒᲝ 6:6

4:2 2:2 0:2 0:0

1:0 ფლერი 1'50 (22); 1:1 ამონტე 5'01 (27); 2:1 ფლერი 6'25 (23); 3:1 სტილმანი 6'57 (14); 3:2 კილგერი 13'59 (8); 4:2 იგინდა 15'07 (19); 4:3 გილმორი 24'29 (11); 5:3 ჰაუსლი 35'39 (3); 6:3 კესელსი 35'51 (10); 6:4 გილმორი 36'09 (12); 6:5 მორო 44'36 (7); 6:6 ჟამნოვი 51'35 (10)

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ — ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 6:2

3:1 2:1 1:0

1:0 ფორსბერგი 4'59 (15); 1:1 მაკინისი 6'58 (13); 2:1 ლემიე 7'37 (18); 3:1 ლემიე 16'09 (19); 3:2 კალენი 20'58 (3); 4:2 იელე 27'19 (6); 5:2 იელე 31'59 (7); 6:2 დედმარში 44'01 (12)

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ — ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ 3:2

0:0 1:1 1:1 1:0

1:0 ონეილი 23'07 (10); 1:1 სავარი 29'37 (7); 2:1 მანდერვილი 42'34 (4); 2:2 შნაიდერი 54'49 (6); 3:2 რობერტსი 63'18 (10)

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ — ᲜᲘᲣᲯᲔᲠᲡᲘ 0:2

0:1 0:1 0:0

0:1 ჰოლიკი 9'53 (20); 0:2 არნოტი 32'00 (11)

ᲑᲣᲤᲐᲚᲝ — ᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 2:4

0:0 2:2 0:2

0:1 რონინგი 20'20 (12); 0:2 ჯონსონი 22'13 (10); 1:2 შმეჰლიკი 27'02 (1); 2:2 უორდი 35'08 (14); 2:3 ეტჩინამი 51'45 (6); 2:4 ფიცჯერალდი 56'46 (6)

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ — ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 4:2

1:1 1:0 2:1

1:0 ჯოუნსი 10'14 (12); 1:1 ილონენი 13'15 (5); 2:1 ზელეპუკინი 35'19 (8); 3:1 ლეკლერი 40'31 (28); 3:2 ტოკეტი 44'09 (15); 4:2 ლეკლერი 45'44 (29)

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ

ᲑᲠᲘᲢᲘᲨ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲜ ᲠᲔᲘᲡᲘᲜᲒᲘ



ᲟᲐᲙ ᲕᲘᲚᲜᲔᲕᲘ
კანადა
ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1971 წლის 9 აპრილს სენტ ჟან-სურ-რიშელიეში, კვებეკი, კანადა
უცოლო, ცხოვრობს მონაკოში
1995 წლის ჩემპიონი CART-ის სერიაში
ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ფორმულა 1-ში: 1996, ავსტრალია („უილიამსი")
49 რბოლა, 11 გამარჯვება, 13 პოული, 9 სწრაფი წრე, 180 ქულა
ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ 1997 წ. („უილიამსი")

BRITISH-AMERICAN RACING

ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: კრეიგ პოლოკი
ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: გრეგ ფილდი
ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ: მალკოლმ ოუსტლერი
ᲨᲐᲡᲘ: **BAR-OI** (შექმნა „რეინარდმა")
ᲫᲠᲐᲕᲐ: სუპერტეკი
ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ: „ბრიჯსტოუნი"
ჩემპიონატის დებიუტანტი



ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝ ᲖᲝᲜᲢᲐ
ბრაზილია
ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1976 წლის 23 მაისს კურიტიბაში, ბრაზილია
უცოლო, ცხოვრობს მონაკოში
ჩემპიონატის დებიუტანტი
საუკეთესო შედეგები ავტოსპორტში:
1997 — ფორმულა 3000 ჩემპიონი
1998 — მსოფლიოს ჩემპიონი გრანტურიზმის GT1-ის კლასში

BAR-ი — „ბრიტიშ ამერიკან-რეინსინგი" — კრეიგ პოლოკის, ედრიან რეინარდის და თამბაქოს მწარმოებლის „ბრიტიშ ამერიკან-ტობაკოს" (ლაქი სტრაიკი, 555, პლეიერსი სწორედ ამ ფირმას ეკუთვნის) მეცადინეობით დაახლოებით 14 თვის წინათ შეიქმნა.

მეპატრონეებმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სუპერგუნდის შექმნას. შასის პროექტირებას „რეინარდი" (ედრიან რეინარდის ფირმა) შეუდგა. 1997 წელსვე გააფორმეს კონტრაქტი ახალგამომცხვარ მსოფლიოს ჩემპიონთან ჟაკ ვილნევთან, რაც, ალბათ, არც თუ ისე ძნელი საქმე იყო, რადგანაც პოლოკი კანადელის მენეჯერი გახლდათ. CART-ში ჟაკი „რეინარდის" ბოლიდით ასპარეზობდა და „პლეიერსის" სიგარეტს უწევდა რეკლამას. ამასთანავე იგი გუნდის ერთ-ერთი მეპატრონეც გახლავთ. შემდეგ „ტირელის" გუნდი შეისყიდა და ამით მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გადასახადი 20 მილიონიც დაზოგა. გუნდი კარგა ხანს ეძებდა ძრავას და საბოლოოდ „მეკაქრომის" ძრავების დათრევაც შეძლო. წლეულს ამ ძრავებს „სუპერტეკი" დაამზადებს და მიაწვდის BAR-ს „უილიამსს" და „ბენეტონს", „სუპერტეკის" მფლობელი კი ფორმულა 1-ში კარგად ცნობილი ფლავიო ბრეატორო გახლავთ.

გუნდმა პირველი ტესტები შარშან დეკემბერში ჩაატარა და ჟაკ ვილნევმა მესამე დრო აჩვენა, თანაც ბოლიდით, რომელიც არ იყო დარეგულირებული ამ ტრასაზე საასპარეზოდ. ასეთი შედეგი დებიუტანტისთვის ურიგო არ გახლდათ და ვილნევი და პოლოკი კმაყოფილნი დარჩნენ. თუმცა იყო ინციდენტიც, რომელსაც ასე აღწერს კრეიგ პოლოკი:

„ჟაკმა რამდენიმე სწრაფი წრე გაიარა დაახლოებით 300 კმ-სთ სიჩქარეზე. ბოლიდს რამდენიმე ნაწილი — ჯერ უკანა ფრთა, ხოლო შემდეგ ძრავას საფარი მოსძვრა. ბოქსებში დაბრუნებულ ვილნევს ვკითხე, რა აზრის იყო მანქანაზე, მან კი ასე მიპასუხა: ის სწრაფია. ვფიქრობ, იგი ახალგაზრდა, ძალიან სწრაფ, ვნებიან ქალს ჰგავს. ჩამოჯდები თუ არა მის გვერდით, იგი ყველაფრის გახდას იწყებსო.

ასეა თუ ისე, პირველი ტესტები წარმატებით ჩატარდა და გუნდს კარგი დებიუტის იმედი მისცა.

6 იანვარს, ბრუკლინში, „ბრიტიშ-ამერიკან რეისინგის" ახალთახალ შესანიშნავ შენობაში შედგა BAR-სუპერტეკ-OI-ის პრეზენტაცი. ერთდროულად იყო წარმოდგენილი ორი ბოლიდი — ერთი თეთრი, „ლაქი სტრაიკის" ემბლემით, 22 ნომრით ჟაკ ვილნევისათვის და მეორე — მუქი ლურჯი, ოქროსფერი „555"-ით, 23 ნომრით, რიკარდო ზონტასათვის. პილოტებიც თავიანთი ბოლიდების შესაფერ კომბინიზონებში იყვნენ გამოწყობილნი, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ გუნდი აპირებს „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს" ორ ნაწარმს გაუწიოს რეკლამა, რასაც FIA ეწინააღმდეგება. ამ საკითხს სამკაციანი საარბიტრაჟო კომიტეტი — მოდავე მხარეების წარმომადგენლები და ერთი ნეიტრალური არბიტრი — გადაწყვეტს პარიზში.

პრეზენტაციამ მხიარულ ატმოსფეროში ჩაიარა. პოლოკი ხუმრობით უმტკიცებდა დებიუტანტ ზონტას, რომ ორივე ბოლიდი აბსოლუტურად იდენტური გახლდათ, ხოლო ვილნევს ეკითხებოდა, მართლა თვლიდა თუ არა კანადელი, რომ მეტად დიდ თანხას უხდიან.

გუნდის შექმნისას ედრიან რეინარდმა განაცხადა, რომ მათი სურვილია, პირველივე რბოლა მოიგონ. ამ დღის შემდეგ ეს ფრაზა მოსვენებას არ აძლევდა ჟურნალისტებსა და სპეციალისტებს, რაგან რეინარდის ფირმას ერთი მეტად საყურადღებო რეკორდი ჰქონდა დამყარებული — ნებისმიერ ფორმულაში, სადაც „რეინარდის" დამზადებული ბოლიდები მონაწილეობდნენ, მათ მოგებული აქვთ სადებიუტო რბოლა.

ეს საკითხი ბრეკლიში ამოტივტივდა და პოლოკმა ჟურნალისტებს ხუმრობანარევად უპასუხა: „ეს „რეინარდი" არ არის, ეს BAR-ია, თუმცა არსად მსმენია, რომ სხვისი მიზნის მიღწევა ცუდი საქციელი იყოს. ეს ის გახლავთ, რაც შეიძლება ვცადოთ და გავაკეთოთ".

ძრავების მომწოდებელმა ბრიატორემ კი განაცხადა, რომ BAR-ი მომავალი სეზონის სიურპრიზია და მას იმედი აქვს, რომ პირველ რბოლაში გაიმარჯვებენ.

როგორც აღვნიშნეთ, გუნდის პირველი ნომერი, თანამედროვე ფორმულა 1-ის ერთ-ერთი საუკეთესო პილოტი ჟაკ ვილნევი გახლავთ, რომელმაც თავისი მაღალი კლასი გასულ სეზონში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლა ვერ შეძლო. ბოლიდით, რომელიც საკმაოდ ჩამორჩებოდა მეტოქეებისას, შარშან ჩატარებულ რბოლებში 940 კმ-ის გავლა შეძლო და სეზონი 21 ქულით მე-5 ადგილზე დაასრულა. 23 წლის რიკარდო ზონტა კი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და პერსპექტიულ ახალგაზრდა პილოტად ითვლება. მიუხედავად თავისი ასაკისა, მან რამდენიმე ტიტული დაიმსახურა. პირველი გამარჯვება ზონტამ კარტინგის საჭესთან 11, (1987 წ), ხოლო პირველი ჩემპიონის ტიტული 15 წლისამ (1991 წ.) მოიპოვა.

21 წლისა ფორმულა 3000-ის ჩემპიონის გახდა, ხოლო შარშან — მსოფლიოს ჩემპიონი, „მერსედეს-ბენეცის" მანქანით GT-1 კლასში. ამავე დროს „მაკლარენის" ტესტ-პილოტის მოვალეობასაც ასრულებდა.

პრეზენტაციის შემდეგ გუნდმა ესპანეთში გაგრძელა ტესტები. ცივ და სველ ამინდში ვილნევმა 37 წრე გაიარა და მეორე შედეგი აჩვენა, მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა ძანარდის („უილიამსი").

აი, რა აზრის არიან გუნდის წარმომადგენლები ამ ტესტებზე:

ჟაკ ვილნევი — რაიმე განსაკუთრებული პრობლემები არ მქონია. ბოლიდი სწრაფია და კარგ თვისებებს ამჟღავნებს. ჩვენ პირველად ვცადეთ ბოლიდის დარეგულირება. მე ძალიან კმაყოფილი ვარ.

კრეიგ პოლოკი — ეს დეკემბრის ტესტებთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლა იყო. ჩვენ პირველად ვმუშაობდით ერთად ტრასაზე. ჩატარებული სამუშაო მეტად იმედისმომცემია და კმაყოფილი ვარ.

გრეგ ფილდი (გუნდის მენეჯერი) — ეს ყველაზე ნაყოფიერი დღე იყო ჩვენს მუშაობაში. გვქონდა რამდენიმე მცირე პრობლემა, მაგრამ შეგვიძლია მათი აღმოფხვრა, რადგან ვიცით მათი წარმოშობის მიზეზი. იანვრის ბოლოს კი ჟაკს ზონტამაც აუბა მხარი და ხერესში ორივენი მოწინავეთა შორის იყვნენ.

მაშ ასე, BAR-ი დებიუტისთვის ემზადება და აპირებს, რომ ბრძოლა გაუმართოს დიდი ოთხეულის წარმომადგენლებს, ამისათვის კი მას ყველაფერი გააჩნია — მყარი ფინანსური მდგომარეობა, კონსტრუქტორთა შესანიშნავი ჯგუფი, საკმაოდ კარგი ბოლიდი, სწრაფი და გამარჯვებას მოწყურებული პილოტები.

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲯᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ



სარგებელის არქივიდან

მოუტანს წარმატებას „ლაქი სტრაიკი" ვილნევს?



სარგებელის არქივიდან

დებიუტანტები: რიკარდო ზონტა და BAR „555"



REUTERS მაიამიდან

ხვალ დიდი სუპერბოულია

კვირას, მაიამის „პრო პლეიერ სთედიუმზე“ რიგით ოცდამეცამეტე სუპერბოული, ანუ ამერიკული ბურთაობის ფინალური თამაში გაიმართება. შარშანდელი ჩემპიონები, დენვერული „ბრონკოები“ ატლანტელ „ფელკონებთან“ ჯახავჯუხში შეეცდებიან ტიტულის დაცვას.

გუშინ დილიდან, მაიამიში თავს იყრიან დენვერელი და ატლანტელი გულშემატკივრები. „პრო პლეიერის“ მიდამოებში მშვენიერი სახალისო წარმოდგენები იმართება.

ამ სახალისო ფოტოზე აღბეჭდილია ორი წლის რობერტ ჯონ კუეტო, რომელიც მამასთან ერთად მოსულა „პრო პლეიერზე“ და იმდენი მოუხერხებია, რომ საგამოფენო ექსპონატზე ამძვრალა. არც არის გასაკვირი — სუპერბოულში მონაწილეობა ყოველი ამერიკელი ბიჭის ოცნებაა.

REUTERS პრაღიდან

პრაღაში რუსები მძლავრობენ

რუს ფიგურისტებს რომ მთელს დუნიაზე ბადალი არ ჰყავთ, პრაღაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზეც დამტკიცდა. სპორტულ წყვილებში მარია პეტროვა—ალექსეი ტიხონოვის გამარჯვების მერე ყინულზე კაცთა ფინალური ჯგუფის მონაწილენი გავიდნენ და აქაც რუსებმა ივარგეს — ალექსანდრე იაგუდინმა (ფოტოზე) ოქრო, ევგენი პლუშენკომ ვერცხლი, ხოლო ალექსეი ურმანოვმა ბრინჯაო მოიპოვეს. ჩვენებური ვახტანგ მურვანიძე კი მხოლოდ 21-ე ადგილს დასჯერდა.

ბელგია

XXII ტური

ბრიუგე 2:0 ანდერლეხტი

1:0, 2:0 დე ბრული (68, 80)

საფრანგეთი

XXII ტური

ბორდო 4:1 მარსელი

1:0 ვილტორდი (13), 2:0 მიკუ (16), 3:0 ლასლანდი (20), 4:0 ვილტორდი (31), 4:1 დიუგარი (59)

ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, ალიკარტი, ტორეს მესტრე, დიაბატე, პავონი, ბენარბია (ჯემალი 78), მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი (პერესი 83)

მარსელი: პორატო, დომორო, ბლანი, გალასი, ბრანდო, როი (კამარა 46, ბრავო 78), ლუქსენი (ტამბეი 35), პირესი, რავანელი, მორისი, დიუგარი

ბასტია 0:1 რენი

0:1 ნონდა (70)

მონაკო 2:1 პსუ

1:0 იკპება (5), 1:1 როდრიგესი (28), 2:1 სისე (79 სკ)

REUTERS ბორდოდან

ბორდოელთა თავდამსხმელი სილვიან ვილტორდი ორმა გოლმა ძალიან გაახარა

შენონ ბრიგსი თუ მაიკლ მურერი?

ტაისონი მოწინააღმდეგეს ეძებს



სარბიელის არქივიდან

მაიკ ტაისონს მორიგი ორთაბრძოლა ჩაეშალა. უკვე ცნობილია, რომ 24 აპრილს ტაისონ-აქსელ შულცის ორთაბრძოლა აღარ შედგება. ისიც ცნობილია, რომ ამით შულცმა უფრო იზარალა, თორემ ტაისონს არაფერი დაკლებია.

ბრძოლა ტელესისტემა „შოუთაიმმა“ ჩაშალა. „შოუთაიმი“ ტაისონის ბრძოლებს გადასცემს საგანგებო სიხშირეებზე და ტელერეპორტაჟების ბილეთებს ასაღებს. ეს კომპანია უკმაყოფილო იყო ტაისონის ბოლო ბრძოლის ტელეშემოსავლით და თავად სანახაობითაც — ტაისონი ერთი დარტყმით დაამახსოვრდა ხალხს, მისი მეტოქე ფრანსუა ბოთა კი უვარგისი მოწინააღმდეგე გამოდგაო.

„გერმანელი აქსელ შულცი ბოთას სასტიკად ჰყავს ნაცემი. აბა რაღა საინტერესოა შულცის გამოსვლა ტაისონის წინააღმდეგ?“ — იკითხა „შოუთაიმის“ სპორტის დირექტორმა ჯეიმს ლარკინმა და იქვე დაასახელა სასურველი კანდიდატი — „ჩვენი აზრით, შენონ ბრიგსი გამორჩეული ფიგურაა დღევანდელ მძიმე წონაში“.

ნიუ იორკელი შენონ ბრიგსი, ქერა ნაწნავებიანი ზანგი, ტრაგიკული ბედის კაცია. ოჯახურმა პრობლემებმა ამომავალი ვარსკვლავის კარიერა წაუხდინა, მაგრამ რინგზე მობრუნებულმა ერთგვარი სახელი მაინც დაიგდო — ქულებით სძლია ბეხრეკ ჯორჯ ფორმენს და წააგო საბჭოს (ვბკ) ჩემპიონ ლენოქს ლუისთან.

თუმცა, ლარკინს აღარ უთქვამს, რომ ბრიგსი ეფექტური და თვალისმომჭრელი მოკრივე არ არის და სანოკაუტო დარტყმის უნარიც არა აქვს.

ტაისონის გაქნილი მრჩეველი შელი ფინკელი აცხადებს, რომ მომავალ კვირაში დაასახელებს მაიკის ახალ მოწინააღმდეგეს. ამბობენ, რომ მას ძველი ჩემპიონის, მაიკლ მურერის გამოწვევა უფრო უნდა, ვიდრე ბრიგსისა.

ცხადი კი ჯერჯერობით ერთია: ტაისონის მომავალი მეტოქე ამერიკელი იქნება.

რობინმა ალიც გაახალისა

გუშინ კალიფორნიის მშვენიერ ქალაქ ბევერლი ჰილსში იქაურმა ჰიბრიუს უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორობა მიანიჭა განთქმულ მსახიობ ბილი კრისტელის (მარჯვნივ), რომელიც ცნობილი ყოფილა თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობით. აქვე მოეწვიათ უგანთქმულესი მსახიობი რობინ უილიამსიც (მარცხნივ), რომელმაც იმგვარი ოხუნჯობანი გასწია, რომ პარკინსონით ტანჯული მუჰამედ ალიც კი გაახალისა.

REUTERS ბევერლი ჰილსიდან

REUTERS ვაშინგტონიდან

წითელი ფრთები თეთრ სახლში

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ამ ბოლო დროს მოსვენება დაკარგა, მაინც არ უღალატა ტრადიციას და 1998 წლის სტენლის თასის მფლობელ „დეტროიტ რედ უინგსის“ ჰოკეისტებისათვის თეთრ სახლში შეხვედრა გამართა. 28 იანვარს მთავარ მწვრთნელ სკოტი ბოუმენის თავკაცობით ჩემპიონები მთლიანი შემადგენლობით დაესწრნენ ცერემონიალს. გუნდის კაპიტანმა სტივ აიზერმანმა პრეზიდენტს გადასცა საკლუბო მაისური, რომლის მარცხენა მხარესაც ჩვეულებრივი „C“ ასოს ნაცვლად „P“ (პრეზიდენტი) იყო აღბეჭდილი.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაძეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29